ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№38 (1548) 22–24 აპრილი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე

ვახტანგ ერქომაიშვილი

## პროლოგის მაგიერ

ვინ არის დიკე, რომლის სამსჯავროს წინაშე წარსდგა ორი პროფესორი – ნოდარ ნათაძე და ვახტანგ ერქომაიშვილი. ეს არის თემურ მირიანაშვილი. მან გამოაქვეყნა სტატია გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ (14–21 მარტი, 1997) სათაურით „იდეოლოგია გვჭირდება“. იგი წერს: „ნოდარ ნათაძე... ვერქომაიშვილისაგან განსხვავებით უმეცარი არ არის. პირიქით, უდაოდ განათლებული კაცია, ოღონდ, სამწუხაროდ, ისე დაბერდა, თავისი განათლების გამოყენება ვერ ისწავლა“.

ბ-ნო ნოდარი თავის თავს თვითონ მოუვლის, მას ჩემი დახმარება არ სჭირდება, ამიტომ უმჯობესია ჩემს უმეცრებას მივხედო.

## ერქომაიშვილი არღვევს პაექრობის ეთიკურ ნორმებს

ოპონენტი წერს: „ფილოსოფოს ვახტანგ ერქომაიშვილს სტატიაში „იდეოლოგიის დასასრული“ („7 დღე“, 9 აგვისტო, 1995) პირველყოფელისა თავისი ფართო ერუდიციის დემონსტრირება განუზრახავს. მაგალითად, იგი არ გვეთანხმება, რომ ტერმინი „იდეოლოგია ძველბერძნულიდან ითარგმნება როგორც ცნებათა ან წარმოდგენათა მცოდნეობა. მაგრამ იქვე არღვევს პაექრობის ეთიკურ ნორმებს და არ გვამცნობს როგორია მისი აზრით სწორი თარგმანი ან რის საფუძველზე არ იზიარებს იდეოლოგიის საენციკლოპედიო და სალექსიკონო განმარტებას, მოტანილს ჩემს მიერ“.

მოტანილ ციტატაში ბევრი რამ საკამათოა, მაგრამ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ პაექრობის ეთიკურ ნორმებზე.

ვნახოთ პაექრობის რომელ ეთიკურ ნორმებს და როგორი გულმოდგინებით იცავს ოპონენტი. სიტყვა-სიტყვით მოვიტან იმ გამოთქმებსა და ეპითეტებს, რომლებითაც იგი მე მამკობს:

„უმეცარი ერქომაიშვილი“

„ამ ციტატიდან პირველყოვლისა ჩანს პროფ.ერქომაიშვილის უმეცრება“.

„შემდეგ ბატონი ერქომაიშვილი რიხიანად გვიცხადებს“.

„მკითხველი, ალბათ, თვალს არ უჯერებს. ნუთუ ასეთი რამ მართლა შეიძლება დაწეროს ფილოსოფოსმა, თანაც პროფესორმა?“

„ნუთუ ფილოსოფოსს, პროფესორს ამის ახსნა უნდა სჭირდებოდეს?“

„მაგრამ რა უნდა ელაპარაკო კაცს, რომელსაც ხალხური პოეზიის შესახებაც კი არაფერი სმენია და მის არსებობას გამორიცხულად მიიჩნევს“.

„მაგრამ ერქომაიშვილს ხალხური პოეზიისა არ იყოს, ალბათ, არც ამერიკულ ლიტერატურაზე სმენია რამე“.

„როგორც ყველა დემაგოგს სჩვევია, ერქომაიშვილი თავისი მტკიცების გამომრიცხველ მოსაზრებებსაც გეთავაზობს“.

„თავისი ერუდიციის დემონსტრირების ჟინით შეპყრობილი ერქომაიშვილი საზღვარგარეთაც გაიჭრა“.

„გასაგებია, რომ სწორედ ამ ბრტყელ-ბრტყელი, მოდური ფრაზებისთვის დაწერა მან სტატია“.

„ერქომაიშვილიც ეკლექტიკურად ეკეკლუცება მკითხველს ანტიტოტალიტარული და პროდასავლური პოზით. არსებითად კი იგი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გონისმიერი საწყისის დამკვიდრების წინააღმდეგ იბრძვის“.

შეიძლება გაგვეგრძელებინა ჩემი შემამკობელი ეპითეტების მოტანა, მაგრამ ისინი არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მე მომეწერება. ოპონენტი წერს:

„სწორედ ამგვარი მოდური პოზებით მოკეკლუცე ინტელიგენცი-

5




# ...დაგეგმილი იყო ვახტანგ გოგუაძის გაპრეზიდენტება

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო საგამომძიებლო ჯგუფის დასკვნით, 29 აგვისტოს ტერაქტი ინსცენირებული იყო იმ ძალების მიერ, ვინც პრეზიდენტის სრული ნდობის მოპოვებას, მასზე გავლენის გაძლიერებას, სამსახურეობრივ წინსვლას და კაპიტალის შეუფერხებელ დაგროვებას ცდილობდა.

„დასახული მიზნის მისაღწევად, ტერაქტის ორგანიზატორები საჭიროებდნენ არა მარტო იგორ გიორგაძისა და ჯაბა იოსელიანის ალიანსის თავიდან მოშორებას, არამედ პარლამენტის იმდროინდელი სპიკერის ვახტანგ გოგუაძის კომპრომეტაციასაც. მავანნი არწმუნებდნენ პრეზიდენტს, თითქოს ტერაქტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, დაგეგმილი იყო ვახტანგ გოგუაძის გაპრეზიდენტება. შედეგად, ვ.გოგუაძე შერისხულ იქნა, რითაც პრეზიდენტს ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი გამოეცალა. მაგრამ პარლამენტის სპიკერის თანამდებობის მოსურნე პრეზიდენტის „გადამრჩენმაც“ ვერ აღისრულა წადილი – „თავგანწირვის“ მიუხედავად, მას გამოცდილი პრეზიდენტი ბოლომდე არ ენდო და პარლამენტის თავკაცობაც სულ სხვას ჩაბარდა“. – ნათქვამია სოციალ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (იფრინდა)

# კახა თარგამაძე: ტერორისტი კვირაია კვირაიას ნათესავი არ არის!...

საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე** და გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **ნოდარ გრიგალაშვილი**



ნ.გ. – რას იტყვით კვეზერელზე, ნიკა კვეზერელს ბრალი წაუყენეს 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობაზე დაკავებიდან 8 თვის შემდეგ.

კ.თ. – მე არ ვიცი, 8 თვის შემდეგაა წაყენებული ბრალი, თუ ერთი დღის შემდეგ, ეს უკვე გამოძიების პრეროგატივაა. მე ის ვიცი, რომ კვეზერელი დაკავების მომენტიდან იყო ეჭვმიტანილი, როგორც ტერორისტულ აქტში მონაწილე.

სხვათაშორის, სხვა უამრავი ბრალდებებიც აქვს მას წაყენებული, რომლებიც აგრეთვე გამოძიებით დადასტურებულ იქნა, მას აქვს სხვა უმძიმესი დანაშაულობები, რბილად რომ ლაპარაკობენ მის თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე, რა იყო ის გადამეტება, იცით? ადამიანებს იტაცებდნენ და შემდეგ მოტაცებულთა დიდი ნაწილი დახოცილი იქნა; გატაცებულებს გადასცემდნენ მხედრიონელებს. როგორ მოხდა, რომ ეს ამერიკაში ნასწავლი კაცი ასეთ „გაუგებრობაში“ აღმოჩნდა? ისე მოხდა, ჩემო ბატონო, რომ გოგა გელაშვილის მეჯვარე იყო. ისე მოხდა, რომ ისინი დღე და ღამე ერთად ტრიალებდნენ. როგორ მოხდა ამერიკაში მომზადებული კაცის გადაბირება სხვა ქვეყნის აგენტების მიერ და ეს, სხვათაშორის, იმ პერიოდში ხდებოდა, როცა კვეზერელი უახლოესი და სანდო კაცი გახდა იგორ გიორგაძისა. იგი ჩაითრიეს მხედრიონის დანაშაულებრივ ჯგუფში და გამოყენებულ იქნა, ნებით თუ ძალით, სულერთია ჩემთვის, კონკრეტული დანაშაულებების ჩადენასა და ორგანიზებაში. ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, როგორ შეხვდა ის თემურ ხაჩიშვილს, გ.გელაშვილს ტერაქტის ჩადენისას, დილით, როგორ ხდებოდა მისი გადაადგილება ახლა ერთ პიროვნებაზეა კიდევ საუბარი, რომლის გარაჟშიც მოხდა იმ „ნივის“ დანაღმვა, რომლითაც შემდგომ ჩადენილი იქნა ტერორისტული აქტი. საქმე იცით რაშია? მე პირადად, როგორც ოპერატიული მუშაკი, დღესაც დარწმუნებული ვარ, იმ პიროვნებამ იცოდა, მის „გარაჟში“ რა მზადდებოდა. მაგრამ მას ვერ დაუმტკიცდა იმის ცოდნა, რომ მის

2

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №30,31,32,33,34,35 36,37

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „წინ სისხლია“

საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასრულდა პროცესი 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის საქმეზე.

საქმეზე 7 ადამიანი გადიოდა. ყველას ბრალი ედებოდა შემდეგი მუხლებით: სამშობლოს ღალატი, შეთქმულება ხელისუფლების წინააღმდეგ, იარაღის უკანონო შენახვა. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა გივი გელაშვილმა 1995 წელს შექმნა ეროვნულ-რადიკალური პარტია, რომლის კრებებზეც განიხილავდნენ მთავრობის ჩამოგდების გეგმას. გივი გელაშვილის მიერ დაწერილი ერთგულების ფიცი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „წინ სისხლია“. შემუშავებული იყო პარლამენტის, ტელევიზიის აღებისა და პრეზიდენტზე თავდასხმის ორი გეგმა. თავდასხმა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისაკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე უნდა განხორციელებულიყო. დაჯგუფების გეგმებში შედიოდა გასვლები რაიონებში, სადაც მათთვის მხარი უნდა დაეჭირათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს. გივი გელაშვილს მიუსაჯეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ქონების კონფისკაციით. ზაზა დვალს, გიორგი ნანაძეს და რამაზ მამარდაშვილს ათ-ათი წელი მიუსაჯეს, გიორგი ონიაშვილს - 8, შოთა რატიანს და დავით მჭედლიშვილს - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. (ბი ჯი აი)

## საქართველოში პირველ მაისს კვლავ აღნიშნავენ კომუნისტები

პირველ მაისს, თბილისში, „გმირების პარკში“ საზეიმო მიტინგი გაიმართება. მშრომელთა სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილი მიტინგის ორგანიზატორებია საქართველოს მუშათა საბჭო და საქართველოს ხალხთა მეგობრობის ასოციაცია. როგორც BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პრესსამსახურში აცნობეს, მსგავსი ღონისძიებები პირველ მაისს მთელს საქართველოში ჩატარდება. რაც შეეხება 22 აპრილს - ლენინის დაბადების დღეს, ამასთან დაკავშირებით ერთიან კომუნისტურ პარტიას არანაირი ღონისძიების ჩატარება არ აქვს დაგეგმილი, რადგან კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე მოსკოვში - რუსეთის კომუნისტთა ყრილობაზე იმყოფება. (ბი ჯი აი)

## ქართველი მეომრების გადმოკრძალვის პროცესი განახლდება

აფხაზეთში დაღუპული ქართველი მეომრების გადმოკრძალვის მესამე ეტაპის დაწყება მაისის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი. ამის შესახებ BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურში აცნობეს. 24 აპრილს, თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში 18 აპრილს გადმოკრძალული ნეშტების პანაშვიდს გადაიხდიან. ამის შემდეგ ნეშტებს დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ. (ბი ჯი აი)

## სამხედრო ექიმები სტაჟირებას გერმანიაში გაივლიან

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს 20 სამხედრო ექიმი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში გაიგზავნება. პროგრამის თანახმად, რომელსაც გერმანული მხარე აფინანსებს, ქართველი სამხედრო ექიმები მომზადებას გერმანიის პრესტიჟულ კლინიკებში გაივლიან. კურსები მომავალი წლის მარტის თვემდე გასტანს. (ბი ჯი აი)

# ვინ ვინ არის

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მე...

# კახა თარგამაძე:

# ტერორისტი კვირაია კვირაიას ნათესავი არ არის!...

პირველი გვერდიდან

სახლში ინაღმებოდა ეს „ნივა“. არადა, გეკითხებით, მის სახლში მიდიან მისი თანამშრომლები, ნაღმავენ „ნივას“ ერთი კვირის განმავლობაში, ამზადებენ ტერორისტულ ღონისძიებებს და როგორ შეიძლება, რომ მას არ სცოდნოდა, რა კეთდებოდა და რისთვის. სხვათაშორის, ბ-ნ ნოდარ, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ამ დანაშაულის მეათედისთვისაც კი უმძიმეს სასჯელებს აძლევენ, მაგრამ, როგორც წესი, ჩვენ გადავიქეცით ისეთ ქვეყანად, რომელიც იცავს დამნაშავეებს, დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს და აბსოლუტურად არ გვაინტერესებს ქვეყნის, ხალხის და თუნდაც სახელმწიფოს ინტერესები. ვერ დავუმტკიცეთ იმ კაცს ბრალდება და მოვუხსენით, ახლა კი ამაზეც აქეთ გვედავებიან...

ნ.გ. - არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ტერორისტი დავიცვა, მაგრამ მაინც ძნელია მოისმინო პრესკონფერენციაზე ასეთი რამ - კვეზერელს ძმა მოუკლეს, მოუკლა პოლიციის მუშაკმა და მკვლელი დასჯილი არ არის. შემდეგ მისი მეგობარი მოკლეს, მან მკვლელი დაიჭირა, პოლიციას ჩააბარა, მკვლელი გაანთავისუფლეს, თავად კი დააპატიმრეს.

კ.თ. - ეს ფაქტი სინამდვილეს არ შეეფერება. ყველაფერი ეს ითხზვება იმისათვის, რომ შექმნან ჩვენს მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი და ძალიან ვწუხვარ, რომ სხვადასხვა დონის პოლიტიკური მოღვაწეები მონაწილეობენ ასეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნაში.

ნ.გ. - ე.ი. სინამდვილეს არ შეესაბამება ეს ფაქტები?

კ.თ. - არც ერთი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ თურმე მიზანდასახულად მთელი საქართველო მუშაობდა, როგორ გაენადგურებინა „ომეგა“. ეს ხომ სისულელეა, რისთვის? იმისთვის, რომ ამერიკაში მომზადებული ხალხი არიან, ბ-ნ ნოდარ?.. რატომ, მერე რა, რომ ამერიკაში მომზადებული ხალხია. ეს არის იმის მცდელობა, რომ ააცდინონ მათ კონკრეტულ დანაშაულზე პასუხისმგებლობა.

ნ.გ. - კი მაგრამ, თევდორაძემ, ვიდრე პრესკონფერენციას გამართავდა, თქვენ არ გკითხათ ყოველივე ამის შესახებ?

კ.თ. - ჩვენ არ გვეკითხება არავინ არაფერს და ზუსტად ამაშია მთელი უბედურება. როდესაც რაღაც საკითხია გასარკვევი, მობრძანდნენ ჩვენთან, გავარკვევთ და არაფერი იქნება გაუგებარი. შეიძლება მხოლოდ დაკავებულთა ახლობლებს ეყრდნობოდე? ქ-ნი თევდორაძე პრესკონფერენციის შემდეგ მობრძანდა ჩემთან და მერმეღა გვქონდა საუბარი. სხვათაშორის, ისიც შეწუხდა, როდესაც ნახა, რომ ზოგიერთი საკითხი, რომელიც თვითონ წამოჭრა პრესკონფერენციაზე, აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. ბ-ნო ნოდარ, საუბედუროდ, ჩვენ ყველაფრის აფიშირება არ შეგვიძლია. მათი სურვილია, რა მტკიცებულებებიც ჩვენ გაგვაჩნია დაკავებულებზე, ეს ყველაფერი ცნობილი გახდეს, რათა მიეცეთ საშუალება, რომ სასამართლო პროცესისთვის მოემზადონ და მოხდეს ამ მტკიცებულებების უარყოფა.

ნ.გ. - ტერაქტის მცდელობაზე ერთ-ერთი დაკავებული არის ვინმე კვირაია, რომლის შესახებ გაზეთში ეწერა, რომ ბ-ნ შოთა კვირაიამ უთხრაო ელენე თევდორაძეს, ნახეთ კვირაია, დაელაპარაკეთ. თქვენს ინტუიციას ვენდობით, მიხვდებით, ეს კაცი დამნაშავე არის თუ არაო.

კ.თ. - ვერავის ინტუიციას ვერ ვენდობი, ვერც საკუთარი თავისას, ინტუიციით დამნაშავის ცნობა გამორიცხულია. ბოდიშს ვიხდი და ეს რა კაი ბიჭია შესახედავად, ეს არ ჩაიდენდა დანაშაულსო, ასე შეიძლება მსჯელობა?

ნ.გ.- მაგრამ აქედან ის ჩანს, რომ ბ-ნი შოთა კვირაია დაეჭვებულია მის დანაშაულში.

კ.თ.- მე არ ვიცი, რამდენად სწორია გაზეთში გამოტანილი მისი სიტყვები, სხვისგან გადმოცემული. სხვათაშორის, ბ-ნ შოთას დაეჭვებაში ეჭვი მეპარება, რამეთუ ყველა ღონისძიების გატარება ხდებოდა ურთიერთშეთანხმებით.

ნ.გ. - პრეტენზიებია ვინმე კიკნაძის ბინის ჩხრეკის თაობაზე.

კ.თ. - ორჯერ მოხდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში კიკნაძის აგარაკის ჩხრეკა. პირველად მოხდა ეს ჩხრეკა 28 თებერვალს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კიკნაძე მონაწილეობდა ტერორისტულ აქტში და მან მოახერხა მიმალვა. პირველი ჩხრეკის დროს მართლაც მხოლოდ თოფი იქნა ამოღებული, რაც დაფიქსირებული იყო ვიდეოფირზე. სახლში იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. ჩვენ გავაგრძელეთ მუშაობა. ერთმა ქალბატონმა, რომლის გვარს არ დავასახელებ, მოგვცა ინფორმაცია, რომ აგარაკზე იკრიბებოდნენ თავის დროზე ტერაქტის მცდელობაზე დაპატიმრებულნი. მივიღეთ ნახაზიც კი, თუ სად ჰქონდათ იარაღი ჩამარხული. გავჩხრიკეთ იქაურობა თითქმის მთელი სოფლის თანდასწრებით და იმდენი იარაღი ამოვიღეთ, არსენალი გეგონებოდათ.

ნ.გ. - სწორედ ამ იარაღზე იყო ლაპარაკი, რომ იგი თვით პოლიციამ ჩამარხაო.

კ.თ. - კი, პოლიციამ უთხრა იმ ქალბატონს, რომელიც დაკავებულის ახლობელია, ასეთი და ასეთი ჩვენება მოგვეციო. პოლიციამ სთხოვა დაკავებულსაც, ჩვენი ჩამარხული იარაღი შენ გადაიბრალეო, პოლიციამ ჯერ დააძველა, გააჭუჭყიანა იარაღი და შემდეგ ჩამარხა და ა.შ. სწორედ ამაშია საქმე, ისეთ უცნაურ მოსაზრებებს გაიგებ და თანაც პარლამენტარებისაგან, სატირალი რომ არ იყოს, გაგეცინება.

ნ.გ. - სხვათაშორის, ჩხრეკის ფირზეც ითქვა, ტელევიზიით გაშვებულზე, პოლიციამ დაამონტაჟაო.

კ.თ. - ფირი ნამდვილად დამონტაჟებულია. ჩვენთვის ეკითხათ და დავუდასტურებდით, რა არის ამაში გასაკვირი? ჩვენ ვიდეოზე ვიღებდით ყველაფერს მიწის ამოთხრიდან იარაღის ამოღებამდე და დალაგებამდე. ეს სამსაათიანი ფირი მაინც არის. კი მაგრამ სამი საათი უნდა გადაეცა ტელევიზიას? კი, ბატონო, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ნუ დაამონტაჟებენ და გაუშვან თავიდან ბოლომდე, თუკი ამის დროს გამოძებნის ტელევიზია. რა ბრალდებაა ეს? ვიდეომასალის დამონტაჟება ტელევიზიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ იმას გულისხმობენ, რომ დამონტაჟებაში რაღაც ძაღლის თავია ჩამარხული, ვიმეორებ, ეს გამორიცხულია. იარაღი მათია და მოვიპოვეთ, როგორც ტერორისტების სამხილი.

კიკნაძე კვეზერელის უახლოესი მეგობარი იყო და მათ ერთად უამრავი სხვა დანაშაულებები აქვთ ჩადენილი. კვეზერელის ბინაში დავაკავეთ იგივე გოგოტიშვილი, რომელსაც ის მალავდა თავის საცხოვრებელ სახლში, კახეთში.

მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სახალხო დღესასწაულზე გეგმავდნენ გადატრიალებას და ყველაფერი პროფესიულად დაგეგმილი იყო. ასე რომ, სრულიად არ არის აბსურდული „ომეგას“ რამდენიმე წევრის დაპატიმრება პრეზიდენტზე თავდასხმის მოწყობის ბრალდებით, როგორც ამას გვიკიჟინებენ. მათ მიერ ხდებოდა პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტების შესწავლა და თავდასხმის გეგმის დაწვრილებით დამუშავება. ერთ-ერთ ვარიანტში ნავარაუდები იყო ოპტიკურ სამიზნიანი იარაღის გამოყენება. ბევრი დაპატიმრებულია, რამოდენიმე პირი კი ამჟამად იძებნება. რადგან აქ „ომეგას“ წევრებზეა ლაპარაკი, ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი



აღმოჩნდა უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ წევრი, უფროსი ლეიტენანტი გოჩა მურღული, რომელსაც გავლილი ჰქონდა აშშ-ში სპეცმომზადება. ესენი კარგად მომზადებული ხალხი იყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ შეიარაღების ნაწილი ეკუთვნის სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ წევრს, ამჟამად ძებნაში მყოფ უშიშროების თანამშრომელს ვლადიმერ კიკნაძეს, რომელსაც ასევე სპეციალური მომზადება გავლილი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ის იმხილება კვეზერელთან ერთად ადამიანთა გატაცებაში, როდესაც მოქალაქეს გამოძალეს ფული და შემდეგ კი გაიტაცეს. ის იმხილება, როგორც ტერორისტული აქტის ერთ-ერთი მონაწილე. მისგან აგრეთვე ამოღებულია ტერორისტული ჯგუფის კუთვნილი უცხოური ტიპის ავტომატი. ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია. ცნობილია, როგორ ემზადებოდა და ამზადებდა იგი სხვებს ამ ტერაქტისთვის, როგორ ჩავიდა ერევანში. არის ნივთმტკიცებები. ამოღებულია ის იარაღი, რომლითაც აპირებდნენ პრეზიდენტის ლიკვიდაციას.

ესენი იყვნენ „ომეგას“ წევრები: უფროსი ლეიტენანტი გოჩა მურღული, უფროსი ლეიტენანტი თორნიკე პაპიძე, უფროსი ლეიტენანტი გოგიტა ჯანიაშვილი, ვლადიმერ კვირაია. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გასული წლის ნოემბერში დაკავებული იქნა პაპიძე, ჯანიაშვილი და კვირაია. გამოძიებით დადგინდა, რომ შეიარაღებული ბანდის დაჯგუფება იმართებოდა და სათანადო ფინანსურ დახმარებას ღებულობდა სხვა ქვეყანაში მიმალული ორგანიზატორებისაგან. სხვათაშორის ბიზნესმენებიც დადგინდა, რომლებიც აფინანსებდნენ ამ ტერაქტის ჩატარებას. პრეზიდენტზე თავდასხმა უნდა განეხორციელებინათ თბილისობის დღესასწაულზე, აგრეთვე უნდა განხორციელებულიყო სხვა დივერსიული აქტები. ჩვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ კიდევ გარკვეულ პირებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ვთქვათ, იგივე პოლიციელებს, იგივე თავდაცვის სამინისტროს სხვა უწყების წარმომადგენლებს. ესენი ელემენტარულად ჩაითრიეს, გამოყავდათ სახლიდან და აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ. ამას ყველაფერს აკეთებდა კიკნაძე.

რაც შეეხება დაკავებულ კვირაიას, ეს არის კიდევ ერთი მომენტი ხელოვნური დაპირისპირებისა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს შორის. მეორე საკითხი - საკმაოდ დიდი ხანია იმისათვის, რომ ბ-ნ შოთას ოჯახის წევრებს ვიცნობდე. კვირაია მისი ნათესავი რომ არ იყო, ისიც გადასარევად ვიცი. მესამე საკითხი - ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილ პირს შეღავათი ვერ ექნება, ვინც გინდა იყოს, თუ ამის შეღავათებს ავიტანთ, მაშინ დაღუპულა ეს საქართველო და ეგ არის.

გაგრძელება იქნება.

## არძინბას აზრით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა

აფხაზთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას განცხადებით, აფხაზეთზე ეკონომიკური სანქციებისა და ზეწოლის პოლიტიკა არანაირ შედეგებს არ მოიტანს- აფხაზეთი არ დათმობს საკუთარ დამოუკიდებლობას და შეძლებს დარტყმითვე უპასუხოს საქართველოს.

აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიაჩნია, რომ ქართული ტერორისტული დაჯგუფებები ახლა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყებენ დივერსიულ მოქმედებებს. აფხაზური მხარე არ გამორიცხავს, რომ საბრძოლო მოქმედებებში შესაძლოა გამოიყენონ კატერი, რომელიც ახლახანს უკრაინამ გადასცა საქართველოს. (ბი ჯი აი)

## დაჭრილია აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი თამაზ შონია

გალის რაიონის სოფელ მახუნჯიაში, საკუთარი სახლის ეზოში მანქანაში მჯდარ აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატს თამაზ შონიას და მის ნდობით აღჭურვილ პირს ზუხბაიას უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფი თამაზ შონია ოჩამჩირის საავადმყოფოში მიიყვანეს. ზუხბაია გარდაიცვალა.

## ჩვენი სტუმარია ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი

დღეს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოდის ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი. ვიზიტის დროს ასკარ აკაევი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს. დაგეგმილია რიგი დოკუმენტების ხელმოწერა. ვიზიტის ძირითადი მიზანია ყირგიზეთის შეერთების საკითხი სატრანსპორტო „ოთხთა ხელშეკრულებასთან", რომელსაც საქართველომ, აზერბაიჯანმა, უზბეკეთმა და თურქმენეთმა მოაწერეს ხელი.

დღეს თბილისის მერიაში გაიმართება ასკარ აკაევის ქალაქის საპატიო მოქალაქედ არჩევის ცერემონია. ცერემონიას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი.



# დავით გარეჯის მონასტერს ახლა ჩვენი სამხედროები ანგრევენ?

*ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით 1997 წლის 18 აპრილს გამართული კონფერენციის რეზოლუცია*

როგორც ცნობილია, საბჭოთა არმია წლების მანძილზე ბარბაროსულად ანადგურებდა ქართული კულტურის უნიკალურ ქმნილებას - დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კომპლექსს. ყველას კარგად ახსოვს ქართული ინტელიგენციის, ეროვნული და ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობის, ახალგაზრდობის და საერთოდ ფართო საზოგადოებრიობის რა ძალისხმევა გახდა მაშინ საჭირო, რათა ბოლოს და ბოლოს 1988 წელს შეჩერებულიყო სროლები.

1991 წლის აპრილში კი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №315 დადგენილებით, საბჭოთა არმიას ჩამოერთვა პოლიგონი და ეს ტერიტორია გამოცხადდა დაცვის ზონად, სადაც საქონლის ძოვებაც კი მხოლოდ საპატრიარქოს და მუზეუმ-ნაკრძალის დირექციის ნებართვითა და მეთვალყურეობითაა შესაძლებელი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს დადგენილება ქაღალდზე, ხოლო გარეჯის ტერიტორია სამხედრო უწყების ხელში დარჩა. ამჟამად, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, მას იგი რუსეთის ჯარებისაგან აქვს აქტით გადმოცემული, რაც არ შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს, რადგან ამ პერიოდში თვით რუსეთის ჯარს ეს ტერიტორია უკვე ზემოხსენებული დადგენილებით ჰქონდა ჩამორთმეული.

ასეა თუ ისე, 1995 წლის ზაფხულამდე უდაბნოში სიმშვიდე სუფევდა. სწორედ ამ დროიდან იქ რუსი სამხედრო მოსამსახურეთა გამოჩენა დაფიქსირდა. 1996 წლიდან კი, ახლა უკვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით (რუსი გენერლების მონაწილეობით), იქ განახლდა მანევრები ავიაციის და მძიმე ტექნიკის გამოყენებით. მონასტრებში იგრძნობოდა ძლიერი რყევები, ეკლესიების (მაგ.დავითის ლავრაში) სახურავებიდან ბათქაში ცვიოდა. დაფიქსირებულია ფრესკებზე ახალი ბზარების გაჩენის შემთხვევაც.

ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პოლიგონის არსებობა დავით გარეჯის ტერიტორიაზე დაუშვებელია და იგი უნდა გაუქმდეს. მაგრამ ამავე დროს იმჟამად ძეგლთა დაცვის სამმართველომ დროებით თავდაცვის სამინისტროს შეზღუდული მანევრების ჩატარების ნება დართო. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავდაცვის სამინისტრომ ეს პირობებიც კი არ დაიცვა, ეს ნებართვაც ძეგლთა დაცვის სამმართველოს მხრიდან გაუქმებულია.

ამგვარად, არ არსებობს არავითარი იურიდიული საფუძველი, რომლითაც ამ ტერიტორიაზე პოლიგონი მოქმედებს. მთავრობის დადგენილებით იგი გაუქმებულია.

რაც შეეხება ზიანს, რომელიც ამ უნიკალურ ქმნილებას ადგება, იგი უკვე დიდი ხანია სრულიად უეჭველად არის გამორკვეული და შესწავლილი. ამ საკითხზე არსებობს ყველა საჭირო დასკვნა, რომელთა გადასინჯვის არავითარი კეთილსინდისიერი მოტივები არ არსებობს. უფრო მეტიც, მკრეხელურად და ბარბაროსულად გვეჩვენება უკვე ისედაც დაზიანებულ ძეგლზე რაიმე ექსპერიმენტების ჩატარება.

საქართველოს ხელისუფლება იმის ნაცვლად, რომ განსაკუთრებით ზრუნავდეს საბჭოთა არმიის მიერ დაზიანებული ძეგლის დაცვა-შენარჩუნებაზე, ახლა თვით ხდება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი დანაშაულის თანამონაწილე.

კონფერენციას დაუშვებლად მიაჩნია დავით-გარეჯის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის მოქმედება. მოვითხოვთ მის უპირობოდ გადატანას. ვერავითარი სამხედრო-პატრიოტული მოტივების მოშველიება ვერ გაამართლებს მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლის ნგრევა-განადგურებას.

# შევარდნაძემ „მოქალაქეთა კავშირს" წაუ[illegible]...

*ეს საკითხი მრავალს ადარდებს. განსაკუთრებით — თავად საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებს, რომლებმაც დააყენეს საკითხი საქართველოს ფინანსთა მინისტრ დავით იაკობიძისათვის იმპიჩმენტის შესახებ.*

მეორე კვირა მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობამ იაკობიძე დაადანაშაულა შეცდომებში, რომელთა გამოც სახელმწიფომ დიდი მატერიალური ზარალი განიცადა. როგორც წესი, დემოკრატიულ სახელმწიფოებში მსგავს ნაბიჯს სახელმწიფოს მეთაურის რეაგირება მოჰყვება. საქართველოს მთავრობა გამუდმებით ამტკიცებს, რომ ქვეყანაში დემოკრატია ვითარდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნების მაგალითი ჩვენთან მაინც არ გამეორდა.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კვლავ დუმილს ამჯობინეს.

და ეს დუმილი განსჯისაკენ გვიბიძგებს.

ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ უყვარს გადაწყვეტილებების ნაჩქარევად მიღება. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ პრეზიდენტი კარგა ხანია უკმაყოფილოა ფინანსთა მინისტრის მუშაობით. შეიძლება ითქვას, რომ დავით იაკობიძე ერთადერთი მინისტრია, რომელსაც პრეზიდენტმა არაერთგზის ღიად განუცხადა საკუთარი პრეტენზიები და რომელსაც მინისტრის პორტფელის წართმევით ემუქრებოდა. ისიც ხომ კარგად მოგვეხსენება, რომ ედუარდ შევარდნაძე საკუთარ სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის.

იქიდან გამომდინარე, რომ ედუარდ შევარდნაძეს დამნაშავეების საკუთარი ხელით მოშორება არ უყვარს, მას უნდა აწყობდეს პარლამენტიდან წამოსული იმპიჩმენტი. როგორც ჩანს, 25 აპრილს, 1997 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, შესაძლოა იაკობიძე არა მხოლოდ საკუთარი შეცდომების, არამედ წლის დასაწყისში ბიუჯეტის შეუსრულებლობის მსხვერპლიც აღმოჩნდეს.

თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ მოვლენები ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ განვითარდეს. ყოვლად შესაძლებელია, რომ პრეზიდენტმა ფინანსთა მინისტრისთვის იმპიჩმენტის შესახებ დუმილი ამჯობინოს, რადგან საპარლამენტო უმრავლესობამ თავის დროზე მას „აწყენინა" და არ გაიყვანა მის მიერ წარდგენილი კანდიდატურები: ალექსანდრე კავსაძე - სახალხო დამცველის თანამდებობაზე და ნოდარ ჯავახიშვილი - ეროვნული ბანკის საბჭოში.

მოქალაქეთა კავშირი ნებისმიერ შემთხვევაში წაგებული დარჩება.

თუ დავით იაკობიძეს მაინც მოხსნიან თანამდებობიდან, ფინანსთა მინისტრად ედუარდ შევარდნაძე თავის კაცს დანიშნავს და „მშრალზე" დატოვებს ყველა პრეტენდენტს ამ თანამდებობაზე მოქალაქეთა კავშირიდან.

უფრო სავალალო იქნება მოქალაქეთა კავშირისთვის, თუ პრეზიდენტი დუმილს ამჯობინებს. ეს დუმილი იმის მანიშნებელი იქნება, რომ ედუარდ შევარდნაძე კვლავინდებურად არაფრად აგდებს საპარლამენტო უმრავლესობის აზრს.

**ინგა დადიანი**

# ეროვნული ბანკის საბჭოს კანდიდატების პორტრეტები

# ვინ იქნება პრეზიდენტი?

საქართველოს პარლამენტმა, გაუთავებელი ლოდინისა და შიდასახელისუფლო კულუარული ინტრიგების შემდეგ, როგორც იქნა დასამტკიცებლად წარმოადგინა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატთა 9 კაციანი შემადგენლობა, საიდანაც საქართველოს პრეზიდენტი, კანონის თანახმად, ერთ-ერთს დანიშნავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

პრეზიდენტის მიერ რეკომენდირებული საჭოს პერსონალური შემადგენლობა, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ შორსაა საუკეთესო ვარიანტისაგან. როგორც უნდა ვივარაუდოთ, ეს არის ხელისუფლებაში არსებული სხვადასხვა ძალების შეთანხმების შედეგი, ეროვნულ ბანკზე, ამჟამად არსებული პრიორიტეტული გავლენისა და ზემოქმედების მხრივ წონასწორობის შესანარჩუნებლად.

საბჭოს შემადგენლობა, პირობითად, შეიძლება გაიყოს სამ ნაწილად. პირველი, ეს არის ნ.ჯავახიშვილის, მ.კაკულიას და გ.ჯილაურის სახით, რომლებიც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ავტომატურად მოხვდნენ მოცემულ კანდიდატებში და ცხადია, მათ გაყვანაზე შესაბამისად ზრუნავენ დაინტერესებული ძალები, რომლებიც მომავალში ელიან ამ ლობირებით გამოწვეული ვალდებულებების შესრულებას. ერთი შეხედვით, ეს არის წმინდა ბანკირთა ჯგუფი, რომლის ადგილი საბჭოში მხოლოდ პროფესიული ნიშნით უნდა იყოს განპირობებული და აპოლიტიკურებიც არიან. ეს უკანასკნელი კი, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ხელისუფლებისადმი მუდმივი მორჩილების ნიშნად ანუ ფუშეს სიტყვებისა არ იყოს - „ისინი ემსახურებიან იმათ, ვინც ხელისუფლებაში არიან". თუმცა, ეს თვისება შეიძლება უკლებლივ გავრცელდეს ყველა დანარჩენზეც მეტნაკლები ზომით. აქედან გამომდინარე, სახელისუფლო უმრავლესობას და მასთან დაკავშირებულ გავლენიან ძალებს აწყობს მათი არჩევა, ვინაიდან, იციან, რომ ისინი პრობლემას არ შეუქმნიან.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს, მისი მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია, რამაც ჰპოვა გამოხატულება პარლამენტის სხდომაზე ორგზის ჩავარდნის სახით. ამის მიზეზი რამოდენიმეა: 1) აგერ უკვე თითქმის 2 წელია მის კანდიდატურას აყენებდა თავად პრეზიდენტი, რაც ძირითადად გამოწვეული უნდა ყოფილიყო ჯავახიშვილის ზოგიერთი პიროვნული თვისებებით, რომელიც ხელს უშლიდა გუნდურ მუშაობას და რომელზეც ხშირად წერდნენ, როგორც მოჭარბებული ამბიციურობის შესახებ. მძიმე ობიექტურ პირობებთან ერთად, ჯავახიშვილ-ქადაგიშვილ-ფაცაციას „ერთობლივი ძალისხმევით", 1994 წლის შუა პერიოდისათვის ეროვნული ვალუტის კურსმა შავ ბაზარზე შეადგინა 5 მილიონი კუპონი = 1 დოლარი.

საქართველოში ლარის კურსის სტაბილიზაციის ძირითადი წყარო იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დიდი ფინანსური დახმარება, მათი მხრიდან ჩატარებული კონსულტაციები და ზეწოლა მთავრობასა და ბანკისადმი, რათა გატარებულიყო მკაცრი საბიუჯეტო და საბანკო პოლიტიკა.

ამ ეტაპზე, უდავოდ, გამოვლინდა ჯავახიშვილის დადებითი როლი მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც თავისი საბანკო მსოფლმხედველობით, მხარს უჭერდა საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივას. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მან ვერ დაიმსახურა პრეზიდენტის ნდობა და ვერ გახდა მისი ფავორიტი ოფიციალურად. პრეზიდენტის უარყოფითი დამოკიდებულება გამოვლინდა კომერციული ბანკების ხელმძღვანელობასთან გამართულ თათბირზე, სადაც ბრალი დასდო ჯავახიშვილს კომერციული ბანკების ფეხზე დასაყენებლად არასაკმარისი მუშაობის გაწევაში და გააფრთხილა, რომ არ წარადგენდა მის კანდიდატურას ეროვნული ბანკის საბჭოში, თუ იგი არ შეცვლიდა თავისი მუშაობის სტილს.

პრეზიდენტის არაკეთილგანწყობის შექმნაში გარკვეული როლი მიუძღვით კომერციული ბანკების უკან მდგომ ძალებსაც, რომელთაც არ სურდათ ჯავახიშვილის დარჩენა თანამდებობაზე და ეს ამბავი მათ მიერ საბანკო სფეროს კონტროლისათვის ბრძოლის კონტექსტში ეტეოდა. სარწმუნო წყაროების ცნობით, ქვეყნის პრეზიდენტის მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას ჯავახიშვილისადმი ამ უკანასკნელის ამბიციურობაც განაპირობებდა, რაც კონცენტრირებული სახით გამოიხატა მისივე სიტყვებში ერთ-ერთი გაზეთის ინტერვიუში: „გავა დრო და საქართველოს ისტორიაში ჯავახიშვილთაგან უდიდესი ჯავახიშვილი ვიქნები" („7 დღე" 17-23 იანვარი, 1997 წ.)

ჯავახიშვილისადმი პარლამენტართა მხრიდან დაპირისპირება უნდა ვეძიოთ ორი ჯგუფის მოქმედებაში. ერთის მხრივაა მოქალაქეთა კავშირის ის ნაწილი, რომელთაც სურს, უკეთეს შემთხვევაში, მის ადგილას იხილოს გაერთიანებული ქართული ბანკის წარმომადგენელი (კერძოდ, ვანო ჩხარტიშვილი, თამაზ მაღლაკელიძე ან სხვ), ხოლო მეორეს მხრივ უპირისპირდება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჯიბუტი და მისი თანამოაზრეები, რომლებიც პრინციპული მოსაზრებით არ უჭერენ მხარს მის კანდიდატურას იმ მიზეზით, რომ ჯავახიშვილმა უკანონოდ გასცა დიდძალი კრედიტები და გარანტიები და ამ გარანტიათა ქვეშ აღებული პირობების შეუსრულებლობის გამო, კომერციული სტრუქტურების მხრიდან, საქართველომ დაკარგა რამოდენიმე მილიონი დოლარის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები. აგრეთვე, ამ კატეგორიის დეპუტატთა პრეტენზიის საგანი მაინც არის ის, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა

გაგრძელება მე-4 გვ.



## მხარს უჭერენ ფედერალური მოწყობის პრინციპს

საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დღეს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კორუფცია, რომელმაც ლამის ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მოიცვა, გადამწყვეტ როლს ითამაშებს არჩევნებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამიტომ, პარტიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ არჩევნების 1999 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩატარება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს ქვეყნის ფედერალური მოწყობის პრინციპს. (ბი ჯი აი)

## შეიქმნა აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა ასოციაცია

აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს ემილია ხალიმოვა, რომელმაც BGI- ის კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ ასოციაციის შექმნის მთავარი მიზანია აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა გაერთიანება და მათი სოციალური უფლებების დაცვა.

## ყოველწლიურ შეხვედრაზე ლონდონში

საქართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე ლონდონში. BGI- ის კორესპონდენტმა ვიზიტის შესახებ კომენტარი სთხოვა პრეზიდენტის თანაშემწეს ეკონომიკურ რეფორმებში თემურ ბასილიას.

– ლონდონის შეხვედრაში საქართველოს ოფიციალურად წარმოვადგენდით: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ვაჭრობის მინისტრი კოტე ზალდასტანიშვილი, იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი და მე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ, აგრეთვე, კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები TBC ბანკიდან, „აბსოლუტბანკიდან" და „საქართველოს ბანკიდან".

შევხვდით ევრობანკის ხელმძღვანელობას, დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრებს. მინდა აღვნიშნო, რომ ევრობანკის სტრატეგია საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა. ჩვენ შევიმუშავეთ კონკრეტული მომენტები, შევადგინეთ ჩვენს ქვეყანაში მათი ვიზიტის პროგრამა. პირველი ვიზიტი შედგება მომავალ კვირას. საქართველოსთან მომუშავე ევრობანკის ჯგუფის ხელმძღვანელი ოლივერ დე კამპი თბილისში ჩამოვა ივნისში.

აღსანიშნავია, რომ ევრობანკის ხელმძღვანელებმა თავიანთ ოფიციალურ გამოსვლებში, სხვადასხვა შეხვედრებზე ხაზი გაუსვეს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების წარმატებას. მიმდინარე წელს საქართველო შეუდგება რამდენიმე ერთობლივი პროექტის განხორციელებას ტრანსპორტის, რკინიგზის, ენერგეტიკის, ფოთის პორტის და სხვა სფეროებში. ევრობანკმა სურვილი გამოთქვა მიიღოს მონაწილეობა მელვინეობის პროექტში და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებაში.

# ეროვნული ბანკის საბჭოს კანდიდატების პორტრეტები

# ვინ იქნება პრეზიდენტი?

მესამე გვერდიდან

ვერ შეუწყო ხელი საქართველოში დამოუკიდებელი კომერციული საბანკო სისტემის აღმოცენებას და საქართველოს რეგიონები საბანკო მომსახურების გარეშე დატოვა, ხოლო უზარმაზარი ფულადი მასა შავი ბაზრის მეახშეთა ხელში აღმოჩნდა. ამ ძალების ინტერესთა თანხვედრა, აგრეთვე პრეზიდენტის ორჭოფული დამოკიდებულება გახდა საფუძველი პარლამენტზე ჩავარდნისა.

თუკი გავითვალისწინებთ საქართველოს პრეზიდენტის დიპლომატიურ ლექსიკასა და თავისებურებებს, მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ „ჯავახიშვილის ჩავარდნა იყო პარლამენტის შეცდომა", ფაქტიურად ნიშნავს ამ შემთხვევის მთლიანად პარლამენტზე პასუხისმგებლობის დაკისრებას და, ალბათ, აბსოლუტურად გამორიცხავს ჯავახიშვილის კანდიდატურის ხელმეორედ დაყენებას პარლამენტის წინაშე.

როგორც ვხედავთ, მოვლენები თითქმის იმავე სცენარით ვითარდება, როგორც ალექსანდრე კავსაძესთან მიმართებაში მოხდა (იგი ამჟამად ავსტრიაშია, საქართველოს წარმომადგენელია გაეროში და კურირებს მის ევროპულ სამსახურს). ასევე, იმედია, არც ჯავახიშვილი დარჩება პრეზიდენტისაგან უყურადღებოდ.

რაც შეეხება მერაბ კაკულიას და გიჟი ჯიღაურის კანდიდატურას, თუ რაღაც განსაკუთრებული ვითარება არ შეიქმნა, ისინი თითქმის 100%-ით მოხვდებიან ბანკის საბჭოს შემადგენლობაში და შესაძლებელია რომელიმე მათგანი ბანკის პრეზიდენტადაც კი მოგვევლინოს.

ეროვნული ბანკის საბჭოს კანდიდატურებში მეორე ნაწილს წარმოადგენენ, ე.წ. ხელისუფლებისა და მათთან დაკავშირებული ბიზნესისა და საბანკო სფეროს წარმომადგენლები: ვანო ჩხარტიშვილი არის გაერთიანებული ქართული ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, წარმომადგენელია იმ ფრთისა, რომელსაც სურდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად გაერთიანებული ქართული ბანკის წარმომადგენელი ყოფილიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაერთიანებულ ქართულ ბანკში ჩადებულია მთავრობისა და ბიზნესის გავლენიანი წრის ინტერესები, მის გაყვანას პარლამენტზე ვერაფერი შეუშლის ხელს, თუმცა, ბანკის პრეზიდენტად მისი გახდომა გამორიცხულია, მას უფრო ჩრდილში მყოფის ლობისტური ფუნქციების შესრულება დაევალება, ვიდრე მმართველი ფუნქციისა.

მოქალაქეთა კავშირის კანდიდატია საბანკო-საფინანსო და ბიზნესის სამყაროსათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნება კ.გველესიანი, რომელიც არის დიდუბის გამოფენის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ომის მონაწილე. მის გაყვანას, ასევე წინ ვერაფერი დაუდგება, თუმცა, გაუგებარია, რა ფუნქციები უნდა შეასრულოს.

აჭარის ინტერესების დასაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომისტ რევაზ ხარაზის კანდიდატურაც, თუმცა, მისთვის რეგიონალური წარმომადგენლის „სტატუსის" მინიჭება მთლად სწორი არ იქნება, რადგან იგი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეკონომისტთა ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელია, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბათუმის სახ.უნივერსიტეტში და შეთავსებით ასლან აბაშიძის კონსულტანტის ფუნქციასაც ასრულებს.

ბანკის საბჭოს წევრთა მესამე ნაწილს, პირობითად, „ნეიტრალური" წევრები შეიძლება ვუწოდოთ. სინამდვილეში, თითოეული კანდიდატურის ამ სიაში მოსახვედრად სხვადასხვა ძალები იბრძოდნენ და მათი გვარებიც ჯგუფური გარიგების შედეგად განაწილდა, რომელთა ფუნქცია იქნება ამ ძალთა ინტერესების ბალანსის შენარჩუნება და კრიზისულ სიტუაციებში „რეკომენდატორების" ნების აღსრულება.

მესამე ნაწილიდან ყველაზე მისაღები ფიგურაა ელგუჯა მექვაბიშვილი, რომელიც არის თბილისის სახ.უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პრეზიდენტის საბჭოს წევრი, მეცნიერი, რომელიც თავისი ლოიალური დამოკიდებულებით არ შექმნის პრობლემებს და მისაღები იქნება ყველა მხარისათვის. გასათვალისწინებელია დიდი პოლიტიკისათვის არასერიოზული, მაგრამ ქართული სინამდვილისათვის სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ნიუანსი – იგი წარმოშობით სოფელ მამათიდანაა.

რაც შეეხება გიგი გამსახურდიას და ვახტან სართანიას კანდიდატურებს, ერთი შეხედვით, ნაკლები შეხება გააჩნიათ დაინტერესებულ ძალებთან, თითქოს ისინი, თავიანთი ცენზის გამო უნდა ყოფილიყვნენ ამ სიაში მოხვედრილნი, მაგრამ ისინი „რეკომენდატორების" ანგარიშგაუწევლადაც უნდა მოგვევლინონ.

ორივე კანდიდატურა მეცნიერების წარმომადგენელია. ვ.სართანია სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორია, გიგი გამსახურდია თბილისის სახ.უნივერსიტეტის ფინანსების და კრედიტების კათედრის გამგეა, პარტიულ პოსტებზე ნამუშევარი პიროვნებაა, კერძოდ, გახმაურებული „აბაშის ექსპერიმენტის" ხანაში მეორე მდივნის პოსტი ეკავა, ხოლო შემდგომ კომუნისტური სახალხო კონტროლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი იყო. ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი კანდიდატურა არამარტო საუნივერსიტეტო სტატუსის გამო აღმოჩნდა კანდიდატთა რიგებში, არამედ დღევანდელ ხელისუფლებაში აღმოცენებულმა იმ ტალღამაც ამოაგორა, როდესაც განსაკუთრებით წყალობენ ყოფილი „კომკავშირულ-პარტიული აქტივის" წარმომადგენლებს.

მთავარი დილემა კი ჯავახიშვილის ჩავარდნის შემდეგ გაჩნდა: ვინ იქნება ვაკანტური მეცხრე? თუკი ჯავახიშვილი ხელახლა არ იქნა წარდგენილი (რომლის ალბათობა ნაკლებია), სერიოზულად დადგება ახალი კანდიდატურის საკითხი. მოსალოდნელია მოვლენები 2 სცენარით განვითარდეს. როდესაც ბანკის საბჭოში შეჰყავთ: მეცნიერების, ბიზნესის ან საბანკო სფეროს ისეთივე ტიპიური, მართვადი წარმომადგენლები, რომლებიც ჰარმონიულად ჯდებიან მთლიან სურათში და ეროვნული ბანკის მშვიდ, კომპრომისულ, მეტნაკლებად კოლექტიურ მართვას უზრუნველყოფენ. ასეთი კანდიდატურა შეიძლება ასეულობით მოიძებნოს და ძალთა შეთანხმების შემთხვევაში, მის აღმოჩენას დიდი სირთულეები არ დასჭირდება. მოვლენის ამ სცენარით განვითარების დროს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის მაღალი შანსი ექნებათ ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტებს: მ.კაკულიას ან გ.ჯიღაურს. თუკი გავითვალისწინებთ ქვეყნის პრეზიდენტის არაორდინალურ ნაბიჯებს საკადრო თამაშში, არ არის გამორიცხული დაისვას ელ.მექვაბიშვილის კანდიდატურაც.

მოვლენების სხვა სცენარით განვითარება, რომელიც ითვალისწინებს ვაკანტური მეცხრე ადგილის შევსებას ძლიერი ჯგუფების ინტერესების გამომხატველი პიროვნების სახით, ალბათ, იქნება გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი. ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ იგი ავტომატურად ხდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც.

არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტმა მიიღოს სხვა გადაწყვეტილება და მოახდინოს „ჩანაცვლება" ჩხარტიშვილისა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარით ზაზა სიორიძით. ასეთი ჩანაცვლება წინააღმდეგობას არ შექმნის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ორივენი ერთი გუნდის წევრები არიან.

უკანასკნელ პერიოდში პრესაში გამოკრთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „იდუმალი მეცხრე" შეიძლება აღმოჩნდეს ყოფილი ვიცე-პრემიერი, ამჟამად კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეზიდენტი რომან გოცირიძე. ეს ფაქტი, საქართველოს მასშტაბით, შეიძლება ისეთივე მნიშვნელობის მოვლენა გახდეს, როგორც ჩუბაის-ნემცოვის დაბრუნებაა რუსეთის მთავრობაში. ეს ვარიანტი, ალბათ, ყველაზე ნაკლებად რეალურია. იგი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუკი მოხდებოდა მთელი ხელისუფლების რადიკალური გადახალისება. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, რომან გოცირიძის ნიჰილიზმს და დისტანცირებას ხელისუფლებისადმი და მეორე მხრივ, ამჟამინდელი მმართველი ელიტის კორპორატიულ შეკავშირებას გარედან ძლიერი ნაკადის შემოჭრის საწინააღმდეგოდ, მაშინ ნაკლებად სავარაუდებელია მოვლენების ასეთი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ გოცირიძის და თანამოაზრეთა შემობრუნება ხელისუფლებაში მნიშვნელოვნად გააძლიერებდა, როგორც მოქალაქეთა, ასევე სხვა პოლიტიკური ძალების რეფორმატორულ ფრთას, რასაც, ბუნებრივია, არ დაუშვებენ კონსერვატორული ძალები. ხოლო პრეზიდენტის ორმაგი სტანდარტი, თანაბრად გამოხატავდეს ორივე ძალის ინტერესებს, ფაქტიურად წერტილს უსვამს დღევანდელ „გაწონასწორებულ" ვითარებაში რაიმე იმპროვიზაციის სურვილსა და ნებას.

ვესლოდოთ, რომ ინტრიგებით აღსავსე „ეროვნული ბანკის საქმე" მოულოდნელობების გარეშე დასრულდება.

გიორგი ტალახაძე
დოცენტი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

## პატიმრები — [illegible] მშივრები არიან

***BGI- ის კორესპონდენტი ლალი ბიჭიკაშვილი ესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის რეფორმის" ვიცე-პრეზიდენტს პაატა გოგოლაძეს***

– რა პრობლემებია დღეს საქართველოს ციხეებში?

– ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ეკონომიკაზეც აისახება. გამონაკლისს არც ციხეები წარმოადგენს.

– რა ჯდება თვეში ერთი პატიმრის შენახვა?

– 22 ლარიდან და უფრო ზევით. როცა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება იშრომა და 8 ლარ პენსიას იღებს, უსამართლობა შეიძლება ვუწოდოთ პატიმრის შენახვაზე ამგვარი თანხის გამოყოფას. პატიმრებისთვის ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებთ.

– შედარებით ნორმალურ პირობებში რომ იცხოვროს, რამდენი ლარი სჭირდება თითო პატიმარს თვეში?

– იმდენივე, რამდენიც ჩვეულებრივ მოქალაქეს. როცა ამბობენ, რომ საარსებო მინიმუმი 70 ლარს შეადგენს, ესე იგი პატიმრის შენახვაზეც იგივე თანხა უნდა გამოიყოს.

– რა მდგომარეობაა ციხეებში მედიკამენტების მხრივ?

– მედიკამენტების დიდი რაოდენობა შემოვიტანეთ ქალთა კოლონიაში. ამ მხრივ აუცილებელია მჭიდრო კონტაქტების დამყარება წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციასთან. ისინი გვეხმარებიან, მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ არის.

– ამბობენ, რომ ციხეებში ლამის კედლები ინგრევა და პატიმრებს აგურები თავებზე ეცემათ...

– ახლახანს მესამე კოლონიაში ვიყავი. იქ პატიმრებმა ორ შენობას წაუკიდეს ცეცხლი. მრავალ საკანში წვიმის დროს წყალი ჩადის. სარემონტო სამუშაოებისათვის ფული არ ყოფნის. მოხერხდა შენობების შეკეთება არასრულწლოვანთა კოლონიაში. პატიმრების ამგვარ პირობებში ყოფნა ხელს უწყობს მრავალი დაავადების გავრცელებას, თრგუნავს ადამიანს ფსიქოლოგიურად. ყველა საციხო ნაგებობა საკმაოდ ძველია და ზოგჯერ გაგიკვირდებათ კიდეც, როგორ არ ინგრევაო.

– რამდენ პატიმარს აქვს მისჯილი სიკვდილი?

– ბოლო მონაცემებით – 52-ს, მაგრამ არის იმედი, რომ განაჩენს სისრულეში არ მოიყვანენ.

– სამუდამო პატიმრობაზე რას ფიქრობთ?

– ამისთვის ციხეებში აუცილებელი პირობები უნდა შეიქმნას. პირადად მე მიმაჩნია, რომ ციხეების უმეტესობა უნდა დაანგრიონ და მათ ნაცვლად ახლები ააგონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბუაშვილი კვლავ თანამდებობაზეა

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის სხდომაზე გადაწყდა, – ქვეყნის მთავარი სამხედრო კომისარი ტარიელ აბუაშვილი დაინიშნოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ამავე სხდომაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა საქართველოს ახალი სამხედრო პროკურორი ბადრი ბიწაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დაინიშნა. (ბი ჯი აი)

## ცხინვალში იხსნება საქართველოში ეუთო-ს ოფისის ფილიალები

გუშინ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში ვიზიტით მყოფი ეუთო-ს გენერალური მდივანი ჯანკარლო არაგონი. პრეზიდენტმა სტუმარს გააცნო ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ეუთო-სთან ურთიერთობები პრიორიტეტულია საქართველოსთვის ევროპის საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობაში. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა ეუთო-ს როლი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში და ხაზი გაუსვა ამ ორგანიზაციის უფრო აქტიურად მოღვაწეობის აუცილებლობას. ჯანკარლო არაგონიმ განაცხადა, რომ ეუთო განიხილავს საქართველოს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორს და აუცილებელია უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება საქართველოში მომუშავე სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან – გაერო-სთან, ევროკავშირთან, ევროსაბჭოსთან. ჯანკარლო არაგონიმ საქართველოს პრეზიდენტს სხვა საერთაშორისო ორანიზაციების მოზიდვაში დახმარება აღუთქვა, რომლებიც ქვეყანას ეკონომიურად დაეხმარებიან. მისი ცნობით, დღეს ცხინვალში გაიხსნება საქართველოში ეუთო-ს ოფისის ფილიალი.

შეხვედრის მეორე ნაწილი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. (ბი ჯი აი)

## აფხაზეთი საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში ჩაერთო

საქართველოს ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ მიღწევა უწოდა აფხაზეთის ჩართვას საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში. გუშინ პრესკონფერენციაზე მინისტრმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში წესრიგში მოიყვანენ აფხაზეთში საქართველოს რადიოს მაუწყებლობას. ფრიდონ ინჯიას თქმით, პრობლემად რჩება აფხაზეთში 2,5 ტონა ფოსტის გადაგზავნა, რომელიც კავშირის უქონლობის გამო თბილისში ჩარჩა. მინისტრმა უსაფუძვლო უწოდა შიშს იმის გამო, რომ რუსეთს შეუძლია არალეგალურად აღადგინოს სატელეფონო კავშირი აფხაზეთთან. (ბი ჯი აი)

● პოლემიკა

# ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე

ვახტანგ ერქომაიშვილი

პირველი გვერდიდან

ის ფლუგერობამ დაატეხა საქართველოს ბოლო წლების ტრაგედია (თავის დროზე რუსეთიდან გამოგზავნილ ეშელონებსაც იმიტომ გადაუკეტეთ გზა სამტრედიაში, რომ მათ ტოტალიტარული პროდუქტი მოჰქონდათ ჩვენთან). თანაც სწორედ ეს ფლუგერები გაჰყვირიან დღეს ყველაზე ხმამაღლა – არიქა, ძალიან წახდა ცხოვრება, გვიჭირს, გვშია ინტელიგენტებსო!".

არ ვაპირებ გავეჯიბრო ოპონენტს მსგავსი ეპითეტების და გამოთქმების გამოყენებაში. ეს ჩემი აზროვნების სტილი არ არის. მე ვაკრიტიკებ არა პიროვნებას, არამედ მის თვალსაზრისს. მე ჩემი პოზიცია მაქვს და არგუმენტებიც საკმაოდ მომეპოვება, რომ მისი დასაბუთება შევძლო. ამიტომ არ ვეხები პიროვნების ღირსება-ნაკლოვანებებს. მე მხოლოდ იმ არგუმენტებს ვიხილავ, რომელთაც იგი გვთავაზობს თავისი პოზიციის დასაცავად. ამის გამოა, რომ ოპონენტი ჩემი სტატიიდან ვერ მოიტანს პიროვნების დამცირების ან შეურაცხყოფის ვერც ერთ მაგალითს.

ჩემს ოპონენტს არც იმას ვსაყვედურობ, თუ რატომ ცდილობს ასეთი სიამოვნებით და გატაცებით ჩემს შეურაცხყოფას და დამცირებას. ეს მისი პირადი საქმეა. ყველა წერს ისე, როგორც მას შეუძლია. ვერავის მოთხოვ გააკეთოს იმაზე მეტი, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება.

პაექრობის ის ნორმები, რომელთაც ოპონენტი იცავს, ჩვენში გავრცელებული და ოფიციალურად აღიარებული იყო საბჭოთა ტოტალიტარიზმის პერიოდში. მინდა გავიხსენო ის ატმოსფერო, რომლის სუსხსაც გრძნობდნენ XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის დიდი წარმომადგენლები: შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, კონსტანტინე კაპანელი, კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე და სავლე წერეთელი. რას არ აბრალებდნენ მათ – დაწყებული უმეცრებიდან დამთავრებული იდეოლოგიური მტრობით. და ამგვარ კრიტიკას აწარმოებდნენ სწორედ ის ადამიანები, ვინც ფილოსოფია იცოდა ყურმოკვრით, მხოლოდ ენგელსის, ლენინის და სტალინის შრომების, ან საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე. ყოველივე ეს ხდებოდა იდეოლოგიური მოსაზრებებით, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სიწმინდის დასაცავად.

მადლობა ღმერთს, ჩვენი ცხოვრების ეს საშინელი ეტაპი განვვლეთ. მაგრამ გამოჩნდნენ ახალი სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნის მსურველნი. მართალია, ისინი არ იცავენ ბოლშევიკურ იდეოლოგიას და მოითხოვენ შექმნან ეროვნული იდეოლოგია. თითქოს რა უნდა იყოს ამაში ცუდი და დასაძრახი? მაგრამ ყურადღება მივაქციოთ პაექრობის ეთიკურ ნორმებს. ისინიც იმავე წესებს და ხერხებს მიმართავენ, რასაც ძველი იდეოლოგიის მომხრენი: სხვათა ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა და დამცირება. პაექრობის ამგვარი წესი აუცილებლობით გამომდინარეობს იდეოლოგიური ბრძოლის ლოგიკიდან. იდეოლოგიის დამკვიდრება მოითხოვს სხვათა უმეცრების, დემაგოგიის და ა.შ. მხილებას. სხვაგვარად იგი ფეხს ვერ მოიკიდებს.

ახალი იდეოლოგია ჯერ არ შექმნილა და მისმა მომხრეებმა ლანძღვა-გინების ბული დააყენეს. ახლა წარმოვიდგინოთ, როდესაც იგი შეიქმნება და დამკვიდრდება, მაშინ რა დღე დაადგება იმათ, ვინც სხვაგვარად ფიქრს და აზროვნებას გაბედავს.

საინტერესოა ერთი დეტალიც: დავუშვათ და დავეთანხმეთ ოპონენტს, რომ ერქომაიშვილი უმეცარი და დემაგოგია. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ქართველ ხალხს სახელმწიფო იდეოლოგია სჭირდება? ერქომაიშვილის უმეცრებას რა კავშირი აქვს ეროვნულ იდეოლოგიასთან? როგორც ჩანს ერქომაიშვილის უმეცრების მხილება სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნის აუცილებელი პირობაა. ამას მოითხოვს იდეოლოგიური ბრძოლის ლოგიკა და პაექრობის იდეოლოგიური (მაგრამ არა ეთიკური) ნორმების დაცვა.

## რის წინააღმდეგ იბრძვის ერქომაიშვილი

ოპონენტი წერს: „თუ ასეა, რატომ ებრძვის ერქომაიშვილი იდეოლოგიის შექმნის ყველა მცდელობას?"

მე არ ვებრძვი იდეოლოგიის შექმნის არც ერთ მცდელობას. რამდენი იდეოლოგია შექმნილა წარსულში და ვინ იცის რამდენი შეიქმნება მომავალში. საქართველოშიც იდეოლოგიის შექმნის იმდენი მსურველი გამოჩნდა, რომ მათ ვინ დაუშლის ამგვარ განზრახვას. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, რამდენიც გნებავთ იმდენი იდეოლოგია შექმენით. მე ვებრძვი თვალსაზრისს, რომ იდეოლოგიის შექმნა საჭიროა. ეს კი სულ სხვა რამეა. ჩემთვის მიუღებელია არა იდეოლოგიის შექმნის მცდელობა (ვისაც ამის სურვილი აქვს, ძალ-ღონეს ნუ დაიშურებს), არამედ თეზისი, მტკიცება მისი შექმნის საჭიროების, მიზანშეწონილების შესახებ.

ასევე უარვყოფ მეცნიერული იდეოლოგიის არსებობის შესაძლებლობას. იდეოლოგიები წარსულშიც ყოფილა და მომავალშიც იქნება. მაგრამ დღემდე არსებული არც ერთი იდეოლოგია არ ყოფილა მეცნიერული და არც არასოდეს შეიქმნება იგი. მეცნიერული იდეოლოგიის შექმნის შესაძლებლობა პრინციპულად შეუძლებელია, რადგან მეცნიერება და იდეოლოგია არსობრივად გამორიცხავს ერთმანეთს: იდეოლოგია მიკერძოებული და ტენდენციურია, მეცნიერება კი მიუკერძოებელი და ობიექტური. იდეოლოგია აპოლოგეტიკაა, ე.ი. ვიღაცის ინტერესებს იცავს, ხოლო მეცნიერება არავის ინტერესებს არ იცავს, იგი მხოლოდ ჭეშმარიტებას ეძებს. აღნიშნული საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მეცნიერების და იდეოლოგიის შეთავსება შეუძლებელია. ამგვარი მცდელობა ისეთივე აბსურდია, რომ ვინმემ სცადოს შექმნას მრგვალი კვადრატი.

### ვინ და როდის შექმნა ტერმინი „იდეოლოგია"?

ოპონენტი გვარწმუნებს, რომ ტერმინი „იდეოლოგია" ძველბერძნულიდან ითარგმნება როგორც „ცნებათა ან წარმოდგენათა მცოდნეობა".

არ არის სწორი, რადგან ცნებას და წარმოდგენას შორის არსებითი განსხვავებაა. ძველბერძნულში სიტყვა „იდეა"-ს მრავალი მნიშვნელობა აქვს ერთ-ერთი არის ცნება, მაგრამ არა წარმოდგენა. ამ უკანასკნელს ძველი ბერძნები სხვა სიტყვით აღნიშნავდნენ. ამიტომ თუ მაინცდამაინც სიტყვა „იდეოლოგია" ძველბერძნულიდან გვინდა ვთარგმნოთ, მაშინ ზუსტი თარგმანი იქნება შემდეგი: „იდეათა (ცნებათა) მცოდნეობა", ან „იდეათა (ცნებათა) მოძღვრება", მაგრამ არავითარ შემთხვევაში „ცნებათა ან წარმოდგენათა მცოდნეობა".

მაგრამ მთავარი ეს არ არის, საქმე ისაა, რომ ძველბერძნულ ენას სიტყვა „იდეოლოგია" არ მოეპოვება. დავასახელებ ორ ლექსიკონს: И.Х.Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т.1, М.1958; А.Д.Вейсман, Греческо-русский словарь, М.1991. არც ერთ მათგანში სიტყვა „იდეოლოგია" არ გვხვდება. ეს ბუნებრივი და გასაგებია. ძველ ბერძნებს აქვთ სიტყვები „იდეა" და „ლოგოსი", მაგრამ არა აქვთ მათი კომპოზიტი „იდეოლოგია". ეს სიტყვა ბერძნული და რომაული კულტურისათვის უცნობია. ამიტომ ძველბერძნული ენიდან სიტყვა „იდეოლოგიის" თარგმნა შეუძლებელია, რადგან იგი მას საერთოდ არ გააჩნია.

სიტყვა „იდეოლოგია" შეიქმნა გაცილებით გვიან. მისი შექმნა მიეწერება ფრანგ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს ანტუან დესტიუტ დე ტრასის. მან 1801-15 წლებში 4 ნაწილად ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „იდეოლოგიის ელემენტები", რომლის შემდეგ ხმარებაში დამკვიდრდა ტერმინი „იდეოლოგია". ანტუან დესტიუტ დე ტრასიმ ეს სიტყვა ძველბერძნულიდან კი არ თარგმნა, არამედ შეაერთა ორი ბერძნული სიტყვა „იდეა" და „ლოგოსი". ასე ხელოვნურად ძველბერძნული სიტყვების ბაზაზე წარმოიქმნა ახალი სიტყვა „იდეოლოგია".

## იდეოლოგია იდეათმცოდნეობაა თუ იდეათა სისტემა?

ოპონენტი გვარწმუნებს, რომ საენციკლოპედიო და სალექსიკონო განმარტების მიხედვით იდეოლოგია არის „ცნებათა ან წარმოდგენათა მცოდნეობა".

არც ერთ ენციკლოპედიასა და ლექსიკონში იდეოლოგია არ არის განმარტებული ისე, როგორც ამას ოპონენტი გვთავაზობს. ყველგან იდეოლოგია განსაზღვრულია, როგორც „იდეების და შეხედულებების სისტემა".

თუ ოპონენტი ამ ორ დებულებას შორის განსხვავებას ვერ ხედავს, ეს ჩემი ბრალი არ არის. ფილოსოფიის ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტი აუხსნის მას მათ შორის განსხვავებას.

გაგრძელება იქნება

## სამხედრო კატარღა «პოლტავა» ჯერაც არ შემოსულა

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის პრესცენტრიდან გახდა ცნობილი, ზღვის ძლიერი ღელვის გამო, 19–21 აპრილს, ფოთის პორტში ვერ შემოვიდა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სამხედრო კატარღა „პოლტავა", რომლითაც ქართული მხარე უკრაინის სასაზღვრო ძალებმა დაასაჩუქრა. კატარღის ეკიპაჟი 15 ქართველი კურსანტისაგან შედგება, რომლებმაც ექვსთვიანი სწავლება უკრაინაში გაიარეს. (იფრინდა)

## დასრულდა სემინარი „აბორდაჟის ოფიცრის" შესახებ

გუშინ დასრულდა აშშ-ს სანაპირო დაცვის საწვრთნელი ჯგუფის მიერ ჩატარებული სემინარი „აბორდაჟის ოფიცრის" შესახებ. აღნიშნული სემინარი მიზნად ისახავდა საზღვაო კანონმდებლობის დაუფლებას, ნარკოტიკებისა და რადიოაქტიული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღკვეთის ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას.

ქართველ ოფიცრებს გადაეცათ სერტიფიკატები აღნიშნული სასწავლო კურსის დასრულების თაობაზე. (იფრინდა)

## საქართველო სრულუფლებიანი წევრი გახდა

9–15 აპრილს სეულში გაიმართა მსოფლიო საპარლამენტთაშორისო კავშირის 97-ე კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარი – საქართველოს რეგიონების" თავმჯდომარემ, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა ვახტანგ რჩეულიშვილმა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ TRACECA-ს პროექტში ჩაერთონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რადგან სწორედ ამ რეგიონშია დაბანდებული მსოფლიო ფინანსური კაპიტალის 52 პროცენტი. ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველო მისი სრულუფლებიანი წევრი გახდა. მისი თქმით, სეულში გამართულ კონფერენციაზე დადგა საკითხი მსოფლიო საპარლამენტთაშორისო კავშირის ჯგუფ „12+1"-ში საქართველოს ჩართვის შესახებ. ამ ჯგუფში წარმოდგენილია ევროპის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა ქვეყანა. დაგეგმილია ამ წინადადების კენჭისყრაზე დაყენება ექვსი თვის შემდეგ, ეგვიპტეში გამართულ მორიგ კონფერენციაზე. (ბი ჯი აი)

## საქართველოში ოპტიმისტთა რიცხვი გაზრდილა

საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციისა და მოქალაქეთა ეკონომიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, გასულ წელს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა, ევროკომისიის მისიის ხელშეწყობით, სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. 1000 რესპონდენტის მიერ გაცემული პასუხის საფუძველზე დაასკვნეს, რომ საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ოპტიმისტთა რიცხვი და მოსახლეობა გაცილებით დადებითად უყურებს თავისი ქვეყნის პარტნიორულ ურთიერთობებს რუსეთთან. (ბი ჯი აი)

## ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებით

სააგენტო „იფრინდას“ კორესპონდენტთან საუბარში „საქენერგოგენერაციის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი მაყაშვილმა განაცხადა, რომ შემუშავებულია „გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-10 ბლოკის რეკონსტრუქციის“ პროგრამა, რომლის საორიენტაციო ღირებულება 60 მლნ. ამერიკული დოლარია. პროგრამას დააფინანსებს მსოფლიო ბანკი და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, 24 აპრილს სატენდერო წინადადებების დღეს, ფირმები შეიტანენ წინადადებებს ტენდერში მონაწილეობის შესახებ. (იფრინდა)

## თბილისში სახლი დაიწვა

გუშინ, გამთენიისას თბილისის ისნის რაიონში დაიწვა ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. როგორც BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სამმართველოში აცნობეს, ექვსმა ადამიანმა გარკვეული სახის დამწვრობა მიიღო. ხანძარს შვიდი სახანძრო მანქანა აქრობდა და ამას ნახევარი საათი მოანდომეს. გამომწვევი მიზეზები დგინდება.

# აფხაზები თავიანთ ერთადერთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ!

მოხსენებითი ბარათი

მის ბრწყინვალებას, გენერალ-ადიუტანტს, თავად სვიატოპოლკ-მირსკის,

წოდებრივ და საადგილმამულო საქმეთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარეს!

აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურობისაგან

1870 წლის 23 მარტი

პ) აზნაურმა ჯოგარია ლაკერბამ სოფელ ორდანირხვაში თავად დარუყვა ინალ იფას ექვსი კომლი ყმა-გლეხი მიჰყიდა მიწიანად და შვიდი კომლიც მოჯალაბენი (ტყვეები);

ჟ) 1850 წელს აფხაზეთის მთავრის მეუღლე თავად თლაპსა ინალ იფას მიწვევით სტუმრად იმყოფებოდა სოფელ მაზიხვაში. აფხაზური ჩვეულებისამებრ, თლაპსას ცოლმა იშვილა მთავრის მეუღლე და ამ შემთხვევის გამო თავადმა თლაპსა ინალ იფამ 3.000 მანეთი ფულად მიუძღვნა, 12 ცხენი და ოთხი კომლი ყმა-გლეხი კი საჩუქრად უბოძა;

რ) ნაშვილობის ასეთივე შემთხვევის გამოს 1862 წელს თავადმა ტიტუ ინალ იფამ აფხაზეთის მთავრის ძეს, თავად გიორგი შერვაშიძეს 16 ცხენი, 3 ვერცხლის უნაგირი და ოთხი კომლი ყმა-გლეხი უბოძა საჩუქრად სოფელ ქალდახვარაში.

უადგილობა ნებას არ გვაძლევს სხვა ურიცხვი მაგალითებიც მოვიყვანოთ აქ ყმა-გლეხთა გაყიდვისა მიწით თუ უმიწოდ, ცალკეული კომლებისა თუ მთელი სოფლებისა. მაგრამ ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითებიც უკვე საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ აფხაზეთსა და სამურზაყანოში გლეხები ისევე მთლიანად ეკუთვნოდნენ თავიანთ მემამულეებს, როგორც საქართველოში. ერთი მემამულისაგან მეორესთან თავისუფალი გადასვლის უფლება აფხაზეთისა და სამურზაყანოს გლეხებს არასდროს არ ჰქონიათ.

თუმცა, იყო არცთუ იშვიათი შემთხვევები გაქცევისა, რაც ყოველთვის ფარულად, უმეტესწილად – ღამით ხდებოდა. გაქცეული ყმა-გლეხები, ჩვეულებრივ, რომელიმე სხვა ძლიერი თუ მდიდარი მემამულის მფარველობის იმედით სტოვებდნენ თავიანთ ბატონებს. ასეთ გაქცეულ ყმა-გლეხთა მფლობელს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მათი უწინდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. მაგრამ რადგანაც აფხაზეთშიც, ისევე როგორც საქართველოში, უჯერო საქმედ ითვლებოდა სტუმრად თუ მფარველობის ქვეშ მოსულ ხიზანთა გაცემა, და ამასთან რაკი თავად-აზნაურთათვისაც ყოველთვის საამო იყო, როცა უცხო ადამიანები მათს მფარველობას ეძიებდნენ, ამიტომ ისინი იცავდნენ და შეიფარებდნენ ხოლმე ასეთ ხიზნებს და კი არ უბრუნებდნენ მათ უწინდელ ბატონებს, არამედ ცდილობდნენ მშვიდობიანად მოეგვარებინათ ეს საქმე და საზღაური გადაეხადათ გამოქცეული ყმა-გლეხის მფლობელისათვის. ზოგიერთი ძალზე მძლავრი და უსამართლო თავადები თუ აზნაურები, სარგებლობდნენ რა ძლიერის უფლებით, ზოგჯერ არც არანაირ საზღაურს არ აძლევდნენ გამოქცეული ყმა-გლეხების ბატონებს. თუმცა, ასეთი შემთხვევები, ძალზე იშვიათნი აფხაზეთში, როგორც ცნობილია, საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოშიც ხდებოდა, რაც ყველგან მესაკუთრეობის უფლების დარღვევად ითვლებოდა და არ აძლევდა ყმა-გლეხებს თავისუფალი გადანაცვლების უფლებას. მემამულეთა კუთვნილი ყმა-გლეხების ვალდებულებანი (მფლობელი თავადებისა და უბრალო აზნაურების მიმართ) შედგებოდა საბატონო ბეგარისა და ღალისაგან, რომელიც ბეგარის დამატებით გადაიხდებოდა.

საბატონო ბეგარა შემდეგში მდგომარეობდა:

1. საბატონო ყმა-გლეხთაგან ყველა მამაკაცი ვალდებული იყო გაზაფხულის ხვნა-თესვის დროს 6 ან 10 დღით თავისი მუშა საქონლითა და სამიწათმოქმედო იარაღებით ასულიყო მემამულის მიწებზე სამუშაოდ;

2. სიმინდისა და ღომის აღებისას ორივე სქესის ყმა-გლეხები უნდა გამოსულიყვნენ სამუშაოდ მემამულის სასარგებლოდ მოსავლის აღების დასრულებამდე;

3. რთველსა და თხილის კრეფაზე თითო კომლიდან ერთი კაცი უნდა გამოსულიყო მემამულის მიწებზე სამუშაოდ მოსავლის აღების დასრულებამდე;

4. ყმა-გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ცხენებით გადაეზიდათ ბატონის საპალნეები, მორბედებად მომსახურებოდნენ ბატონებს და მათს სახლებშიც რიგ-რიგობით ემსახურათ სტუმრობების დროს;

5. ყმა-გლეხები, ამასთან, ვალდებულნი იყვნენ დაემზადებინათ და თავიანთი საპალნე საშუალებებით გადაეზიდათ სამშენებლო მასალები და შეძლებისდა კვალობაზე ნაგებობებიც აეშენებინათ მემამულის მიწაზე (საკარმიდამო და სამეურნეო შენობები).

ყმა-გლეხთა ყოველი კომლი იხდის შემდეგ ღალას:

1. ერთ ცხვარსა და ერთ ბატკანს, ხოლო თუკი ჰყავს, ერთ თხასა და ერთ თიკანს;

2. რვა თურქულ ქილა დაფხვნილ სიმინდს (1 თურქული ქილა უდრის 21 ჩვენებურ ოყას, ანუ ორ ფუთს);

3. ახალი წლისთვის – ერთ ქათამს, (აღდგომის) ნათელ დღესასწაულისთვის – ერთ ყვერულს (დაკოდილ მამალს), ხოლო ყველიერისთვის ერთ თავ მშრალ, შებოლილ ყველს;

4. მთელი წლის განმავლობაში, მემამულის მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად: ახალ ამოღებულ ყველს, კვერცხებს, მაწონსა და ლობიოს – განუსაზღვრელი ოდენობით;

5. როცა ყმა-გლეხი მოკვდება, მისი მემკვიდრენი ვალდებულნი არიან ქელეხის დროს მემამულეს ერთი ცხვარი ან დაკლული საქონლის ნახევარი მიართვან;

6. ყმა-გლეხის ქალიშვილები გათხოვებისას ვალდებულნი არიან გამოსასვლელი საზღაურის სახით ერთი ძროხა მიართვან ბატონს;

7. როცა ყმა-გლეხი საქონელს დაჰკლავს, ხორცის ორი მთლიანი საუკეთესო ნაჭერი ბატონს უნდა მიართვას; ასევე, როცა ნადირობისას მოჰკლავს მსხვილ ნადირს (ჯიხვსა თუ ირემს), ვალდებულია ბატონს მიართვას თავკისერი, მკერდის ნაჭერი და ნეკნების ცალი მხარე;

8. გარდა ამისა, ყმა-გლეხი ვალდებულია ქორწილისათვის, ქელეხისათვის თუ სალაშქროდ განუსაზღვრელი ოდენობით მისცეს ბატონს სხვადასხვა სანოვაგე;

9. იმ შემთხვევაში, თუკი ბატონს ვინმეს სისხლი მართებს, ყმა-გლეხები ვალდებულნი იყვნენ მისი მოთხოვნით, საქონლის ან ფულის სახით გადაეხადათ კომლზე 10-20 მანეთი.

10. ბატონთან სტუმრების ჩამოსვლისას, ყოველი კომლი ვალდებული იყო მთელი სტუმრობის განმავლობაში მათი ორი ცხენი და ერთი კაცი გამოეკვება;

11. საჭიროების შემთხვევაში ყმა-გლეხს თავისი ცხენი უნდა მიეცა (ეთხოვებინა) ბატონის შიკრიკისათვის;

12. მოკლული ყმა-გლეხის სისხლის საზღაურის ნახევარს ბატონი თავის სასარგებლოდ იღებდა;

13. ყმა-გლეხთა ყოველი კომლი თავისი ვენახიდან 5 ვედრო ღვინოს მიართმევდა ბატონს.

ყველა ეს ვალდებულება, ძალზე უმნიშვნელო განსხვავებულობებით, რაც განპირობებული იყო ადგილობრივი სამეურნეო მიზეზებით, აფხაზეთისა და სამურზაყანოს მემამულეთა კუთვნილ ყველა სოფელში არსებობდა. მათი აღწერიდან თქვენი ბრწყინვალება დაინახავს, რომ ისინი ზუსტად იგივე იყო, რაც სამეგრელოში, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აფხაზეთი და სამურზაყანო ყოველთვის ერთ მთლიანს შეადგენდა სამეგრელოსთან ერთად, და უკანასკნელ დრომდეც აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროები სრულიად მსგავს სამოქალაქო და ეკონომიურ პირობებში არსებობდნენ.

ხშირი ომების, არეულობებისა და შინა ქიშპობის მიზეზით, აგრეთვე თურქების ზეგავლენით, რომლებიც ხელს უწყობდნენ და მფარველობდნენ ტყვეთა გაყიდვას, სამეგრელოში, იმერეთსა და აფხაზეთში წარმოიქმნა უუფლებო ტყვეთა განსაკუთრებული კლასი; ცნობილი იმერეთსა და სამეგრელოში მოჯალაბეთა სახელწოდებით, აფხაზეთში კი საერთო სახელით – „აგირვა“. ჩვეულებრივ, ომში ჩაგდებულ ტყვეებს, თუკი მათ თავისიანნი არ გამოისყიდდნენ, მონებად აქცევდნენ და ისინიც დაუქორწინებელნი რჩებოდნენ, ხშირი გაყიდვა-შესყიდვის საგანი იყვნენ და თითქოს წვრილ ფულად ემსახურებოდნენ თავიანთ მფლობელებს. მათ აფხაზეთში ახაშვალებს უწოდებდნენ (რაც აფხაზურად ერთ უცოლოს ნიშნავს). ამ ახაშვალების ყიდვა მემამულეებსაც შეეძლოთ და გლეხებსაც, და მათ არც თვლიდნენ ადამიანებად. წესრიგის შემოღების შემდეგ ეს ახაშვალები თავისთავად უნდა მოსპობილიყვნენ, და მართლაც, სამეგრელოსა და იმერეთში, რუსული მმართველობის შემოღების დროიდან, მოჯალაბენი სრულიად მოისპნენ, აფხაზეთში კი, ამ მხარეში მშვიდობის დამყარებისა და ტყვეთა გაყიდვის შეწყვეტის შემდეგ, ისინი სულ უმნიშვნელო რაოდენობითღა დარჩნენ. ხოლო რადგანაც მათგან მხოლოდ ის სარგებლობა ჰქონდათ აფხაზ მემამულეებსა და გლეხებს, რომ მათი გამოყენება გადასახდელისათვის შეიძლებოდა ფულის სანაცვლოდ, ამიტომ ტყვეთა მფლობელნი უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდნენ დაექორწინებინათ თავიანთი მონები და თავიანთ მიწებზე დაესახლებინათ გამოსყიდვის უფლებით, რის შემდეგაც ისინი გლეხებად იქცეოდნენ და, ამგვარად, უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდათ თავიანთი ბატონისათვის. ეს დაქორწინებული და ბატონთა მიწებზე დასახლებული ტყვეები სამეგრელოში მოჯალაბეებად იწოდებიან, აფხაზეთში კი – ახუეებად. რაც უფრო მდიდარი იყო მოჯალაბე, მით უფრო მეტი გამოსასყიდის გაღება შეეძლო მას საკუთარი თავისთვის, და იმ მიზნით, რომ მათთვის უფრო ადვილი ყოფილიყო რაიმე ქონების შეძენა, ბატონები გარკვეულ უფლებებს ანიჭებდნენ მათ, რომლებიც არ ჰქონდა დაუქორწინებელ მონას (ახაშვალს). ასე, მაგალითად, მოჯალაბეს ნებას რთავდნენ ზაფხულის განმავლობაში სამუშაო დროის ნახევარი მისთვის გამოყოფილი მიწის დამუშავებისათვის დაეთმო; მას უფლება ეძლეოდა, აგრეთვე, შეეძინა თავისი მოძრავი ქონება, მაშინ, როცა ახაშალს, გარდა შესამოსელისა, უფლება არ ჰქონდა რაიმე ჰქონოდა პირად საკუთრებაში. მოჯალაბე ვალდებულია თავისი ბატონის სასარგებლოდ იმუშაოს მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ის თავის მინდორში არ ირჯება, და გააკეთოს ეს მაშინვე, როგორც კი ამას ბატონი უბრძანებს; ამ წოდების ქალები (მოჯალაბეთა ცოლები და ქალიშვილები) გამუდმებით ემსახურებიან მემამულეს მის სახლში; მოჯალაბეს ასულს მხოლოდ იმ პირობით შეეძლო გათხოვილიყო, თუკი მემამულეს მის ღირებულებას გადაუხდიდნენ. გლეხთა წოდებაში გადასვლა მოჯალაბეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი მთელ თავის ქონებას ბატონს გადასცემდა, რომელსაც უფლება ჰქონდა დათანხმებულიყო ასეთ გამოსყიდვაზე, ანდა არ დათანხმებულიყო. ზოგიერთ შემთხვევაში მოჯალაბეს გამოსყიდვა მონობიდან მთლიანად კი არ ხდებოდა, არამედ მისცემდა რა თავის ბატონს გარკვეულ გამოსასყიდს, რამდენადმე უფრო მეტ უფლებებს იძენდა და რაღაც საშუალოს შეადგენდა ნამდვილ მონასა (მოჯალაბე, ახუე) და გლეხს (ანხაე, ფიოში) შორის. ნაწილობრივ თავგამოსყიდულ მოჯალაბეთა ასეთი ჯგუფები კვლავაც არსებობენ აფხაზეთის ზოგიერთ ადგილას, და განსაკუთრებით სამურზაყანოში. სამურზაყანოში ამ ნახევრად გლეხებს მოინალეებს უწოდებენ, დანარჩენ აფხაზეთში კი – ამაციურასგუებს. მონათა ამ, უმაღლესი თანრიგის უფლება-მოვალეობანი ყველა მემამულესთან ერთნაირი როდია და დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე. ყველა შემთხვევაში ისინი კვლავაც მონებად რჩებიან და მათი ფლობა გლეხებსაც შეუძლიათ. სანამ მოჯალაბე გლეხს ეკუთვნის, მემამულეს არანაირი უფლება არა აქვს მასზე; ხოლო როცა მოჯალაბე მთელი თავისი ქონების გაღებით გამოვა მონობის მდგომარეობიდან და გლეხად იქცევა თავის ამგვარი გამოსყიდვით, მაშინ იგი იმ მემამულის ყმა შეიქნება, ვისი კუთვნილებაც მისი უწინდელი ბატონი – გლეხი იყო.

აფხაზეთსა და სამურზაყანოში ყველა თავადსა და აზნაურს როდი აქვს თავისი საკუთარი მამული. ზოგიერთი მათგანი, ან სიღარიბის, ან სხვა რამ მიზეზით, სხვის მამულში ცხოვრობს, როგორც სტუმარი (აფხაზურად – ასასი, ქართულად – ხიზანი).

[illegible] მომადგენელი რამდენიმე პირისა, რომლებიც [illegible] სხვის მიწებზე, ყველა მემამულის სოფლებში მრავლად იყვნენ ხიზანი გლეხები. ზემოთ ჩვენ ვთქვით, თუ როგორ იღებდნენ მემამულეები თავიანთ ბატონთაგან გამოქცეულ ყმა-გლეხებს თავისი მფარველობის ქვეშ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, თუ რა ურთიერთობები არსებობდა ხიზნებსა და მემამულეს შორის, ანუ იმ მიწის მფლობელს შორის, რომელზეც ისინი დასახლებულიყვნენ. უმაღლესი წოდების ხიზნები უნდა მომსახურებოდნენ თავიანთ მემამულეებს ისე, როგორც ეს თავად-აზნაურობას შეეფერება, ანუ ისინი მემამულის ამალაში უნდა ყოფილიყვნენ მის მგზავრობებსა თუ ლაშქრობებში; უნდა დახმარებოდნენ მას ყველა შეჯახებაში თუ შინაომში სხვა მემამულეებთან, და, საერთოდაც, შესწეოდნენ თავიანთ მემამულეებს მის ყველა წამოწყებაში.

გლეხთა წოდებიდან გამოსული ხიზნები ახალ ადგილზე დასახლების პირველ წლებში არანაირ გამოსაღებს არ იხდიდნენ, გარდა ზოგიერთი სადღესასწაულო ძღვენისა, და ვალდებულნი იყვნენ მხოლოდ მემამულის მიწვევით გასულიყვნენ მინდვრის სამუშაოებზე. დროთა განმავლობაში ეს ხიზნები მთლიანად იმ მემამულის ყმა-გლეხებად იქცეოდნენ, ვის მიწაზეც ისინი შემოხიზნულიყვნენ და დასახლებულიყვნენ, და მაშინ ყველა ის ვალდებულებანიც ეკისრებოდათ, რაც მემამულის სხვა, მკვიდრ ყმა-გლეხობას ჰქონდა. საერთოდ, ხალხის უწინდელი მოუსვენარი ცხოვრების გამო, როცა ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა მცხოვრებთა პიროვნული და ქონებრივი უფლებების დაცვას და როცა თვითეულს თვითონვე იარაღის ძალით უნდა დაეცვა თავისი სიცოცხლეცა და ქონება-სამკვიდრებელიც, მემამულეებისთვის მეტად ხელსაყრელი იყო, რაც შეიძლება ბევრი მომხრის ყოლა. სწორედ ამით აიხსნება, ერთის მხრივ, ხიზანთა სიმრავლე ყველგან, თითქმის ყველა თავადისა თუ აზნაურის მამულში, ხოლო მეორეს მხრივ მემამულეთა შემწყნარებლობა და დამყოლობა მათთვის დიდი ოდენობით მიწების დათმობაში, რაც ხშირად ყოველგვარი ანაზღაურების მიღების გარეშე ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ხიზნების მიერ დაკავებული მიწა, სულ ერთია, რომელი წოდების წარმომადგენლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ყოველთვის კვლავაც მემამულის საკუთრებად რჩებოდა და ასეთადვე მიიჩნეოდა ყველას მიერ, მსგავსად იმისა, როგორც ეს საქართველოში იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან თქვენი ბრწყინვალება ადვილად დაინახავს, რომ წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობანი ყოფილ აფხაზეთის სამთავროში და სამურზაყანოში არაფრით არ განსხვავდება ასეთივე ურთიერთობათაგან საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში. კვალად იმასაც დავსძენთ, რომ თუმცა განსხვავება ქართლსა და სამეგრელოს შორის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის, მაგრამ მაინც საკუთრივ სწორედ ამ მცირე განსხვავებამ წარმოშვა ის დაბრკოლება, რომლის მიზეზითაც მთავრობამ ვერ შეადგინა ორივე ზემოხსენებული ქვეყნისათვის საერთო დებულებები გლეხთა საკითხზე (ანუ საერთო – სამეგრელოსა და აფხაზეთისათვის – რედ.). კადნიერად მოველით რა თქვენი ბრწყინვალებისა და კომიტეტის წევრთა სამართლიანობას და მოწყალე ყურადღებას ჩვენი საჭიროებებისადმი, ჩვენ ვბედავთ, იმის იმედიც გვქონდეს, რომ აფხაზეთსა და სამურზაყანოში გლეხთა რეფორმის ამოქმედებისას ჩვენ არ ვიქნებით გარიყულნი საქართველოს ხალხთა საერთო ოჯახიდან, რომელსაც ოდითგანვე მივეკუთვნებით. თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიმართაც სავსებით და სრულად შეიძლება გამოყენებულ იქნას ის დებულებები, რომელთა დამკვიდრებაც კეთილად ინება ხელმწიფე იმპერატორმა ყოფილი საქართველოს სამეფოს დანარჩენი ნაწილებისათვის, და რომ ჩვენს მიმართ არ იქნება დაშვებული გამონაკლისი.

პორუჩიკი, თავადი ბათა ემუხვარი, გარნა (რუსული) წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, მისი პირადი თხოვნით ხელი მოაწერა ივანე ზედგენიძემ;

თავადი მისოუსტ მარშანი, გარნა (რუსული) წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, მისი პირადი თხოვნით ხელი მოაწერა ივანე ზედგენიძემ;

პორუჩიკი ტიტუ მარგანი;

თავადი კონსტანტინე ინალ იფა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №33,34,35,36,37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ11 მე–10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება სასწრაფოდ რეალური ღირებულების მესამედ ფასში 3 სართულიანი კაპიტალური სახლის მე–3 სართული. 6 ოთახი. საერთო ფართი 200 კვმ, ჭერის – 3,5. საკუთარი იზოლირებული 400 კვმ ხეხილიანი ეზოთი. კაპიტალური გარაჟი - 2 მანქანისათვის, სამხატვრო სახელოსნოთი, გათბობის, განათების, წლის სისტემით. ფასი 40000 დოლარი. ტელ. 96-23-45

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი ბინა 9X7, გაურემონტებელი, ტელეფონით, აქვს სარდაფი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი, ფასი 6000$ თემქის დასახლება, მე–3 მიკრორაიონი. ტელ. 96-69-75

იყიდება მეტრო „ღრმაღელესთან" ახლოს 2 ოთახიანი, სუფთა ბინა მე-2 (5) სართულზე ლოჯიით, მიშენებით, ტელეფონით, სარდაფით, ავტო–ფარეხით, ბუნებრივი აირით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-26-02

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა ტელეფონით, ორი აივნით, ავტოსადგომით 8X8 მეტრო „ისანთან" 87–ე სკოლის გვერდით, საწყისი ფასი 20000 დოლარი ტელ. 93-45-33

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული მაღალჭერიანი ბინა საბურთალოზე, გამსახურდიას გამზირი 31, მე–4 სართ. ბ. 13, საერთო ფართი 130 კვმ (აქედან, 40 კვმ მიშენება), სარემონტოა, აბაზანა–ტუალეტში უჟანგავი მილები. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-67-86 იკითხეთ თინა

იყიდება 600 კვმ ხეხილიანი ეზო საწზონაში, მე–8 საავადმყოფოსთან ასაშენებელი სახლით, ჩასხმულია ფუნდამენტი. ფასი 4000 დოლარი. ტელ. 96-79-38

იყიდება 6 ოთახიანი ბინა ხილიანზე, არქიტექტორების სახლში მე-2 სართულზე 200 კვმ გარაჟით. ფასი 110000 დოლარი ტელ. 36-32-46

იყიდება პრივატიზებული კაპიტალური სახლი 1200 კვმ, ბაღით, თეთრიწყაროს რ–ში, ასურეთის საავარაკო სამეურნეო ტერიტორიაზე, I სართულზე დარბაზი, სამზარეულო, საკუჭნაო, ბუხარი. II-ზე – ორი ოთახი შუშაბანდით და 100 კვმ ღია აივნით. III (მანსარდში) ერთი ოთახი შუშაბანდით. გაყვანილია ელექტროობა და სარწყავი სისტემა. ფასი 78000 ლარი ან შეიძლება გაცვლა თბილისში ორ ან ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 30-34-96 დილას ან საღამოს.

იყიდება იზოლირებული 3 ოთახიანი სუფთა ბინა საერთო ფართი 75 კვ.მ წინამძღვრიშვილის 182, საწყისი ფასი 20000 დოლარი ტელ. 35-45-21

იყიდება 3 ოთახიანი დუპლექსი, მაღალჭერიანი, არასტანდარტული ბინა, საცხოვრებელი ფართი 80-80 კვმ, საერთო ფართი თითო სართულზე 130 კვმ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-17-78

იყიდება მშენებარე 3 სართულიანი კერძო სახლი ეზოთი. სახლის ფართობი 12X12–ზეპირველი სართულის ჭერია - 4მ. მე–2 და მე–3 - 3 მეტრი. სამივე სართული მიწის ზემოთაა, სახლი გადაუხურავია. ეზოს ფართი 500 კვმ. ფასი საწყისი 70000 დოლარი. ტელ. 99-94-31

იყიდება საბურთალოს ბაზართან არასტანდარტული, მაღალჭერიანი, ულოჯო ოროთახიანი. მაღალ პირველ სართულზე, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 21000 დოლარი. ტელ 38-51-35. მის ცაგერის №4 I სართ. ბინა №2.

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ბინა, ჭერი 2.75. რემონტით, ტელეფონით, რკინის კარებით, გისოსებით, სარდაფით, სამზარეულო, აბაზანა კაფელში. გვერდიდან ემატება 3 ოთახი 60–60 კვმ, აქვს პატარა ეზო და გარაჟის ადგილი. ფასი 33000 დოლარი ტელ. 37-44-43

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა, წერეთელზე 5 სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, გარემონტებული, ტელეფონით, წყლის გამაცხელებლით, ორი სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი 17000 დოლარი (ავტოფარეხის გარეშე 15000 დოლარი) ტელ. 34-14-13

იყიდება ერთოთახიანი ბინა ორსართულიანი სახლის მე–2 სართულზე, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. მისამართი: გუთნის ქ.№11 ტელ. 93-18-41; 74-22-90 იკითხეთ ვაჟა

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, გადაკეთებული 3 ოთახად 75 კვმ საკუთარი ლოჯიით ქუჩის მხარეს. ეზოს მხარეს შემინული ლოჯია, სადაც განლაგებულია სველი წერტილები, მეზობელთან საერთო მოხმარებით. მე-3 სართული. მისამართი: მთაწმინდა, ყიფიანის №7 ტელ. 99-09-49 იკითხეთ ნაზიკო

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი გარემონტებული პრივატიზებული ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან, საერთო ფართით 106 კვმ, საცხოვრებელი 55 კვმ, ჭერის სიმაღლე 3.10 ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-37-33 ნოდარი.

იყიდება ვაზისუბნის მე–2 მიკრორაიონში გარემონტებული 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, სარდაფით, გარაჟით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-99-73 კოტე

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ნათელი კეთილმოწყობილი ბინა დიღმის მასივში ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ. 93-26-90 გია

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ახალი რემონტით, საერთო ფართი 100 კვმ, საწყისი ფასი 40000 დოლარი. ტელ. 34-17-16

ვყიდი 3 ოთახიან იზოლირებულ ბინას სამსართულიანი სახლის II სართულზე. შემინული აივნით. ეზოში მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ. 93-31-77 ნათელა

## ვასწავლი

მოვამზადებ მუსიკალური სმენის მქონე ბავშვებს 7–დან 14 წლამდე ქართული, რუსული და საზღვარგარეთული სიმღერების შესასწავლად. განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვებს მივაღებინებ მონაწილეობას სხვადასხვა კონცერტებსა და ფესტივალებში. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში ორჯერ. ფასი 30 ლარი თვეში. ტელ. 23-17-57

ვამზადებ გერმანულში და მუსიკაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 62-05-62 მზია

შევასწავლი კლასიკურ მუსიკას და სიმღერებს ნებისმიერი ასაკის ბავშვს (პირველიდან შვიდი კლასის ჩათვლით) ბინაზე მისვლით. ძალიან იაფად, თვეში 10 ლარი. ტელ. 96-73-55; 35-01-86 ნონა

## ქირავდება

ვაქირავებ ვაკეში, მრგვალ ბაღთან 18 კვმ სუფთა ოთახს ბელეტაჟზე სველი წერტილებით, ტელეფონით, ავეჯით, ტელევიზორითა და მაცივრით, მსურველებზე ავტოფარეხსაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-29-90 ნორა

ქირავდება 1 ოთახიანი გადაკეთებული 1,5 ახალგარემონტებული ბინა ავეჯით, მაცივრით, ტელევიზორით, ტელეფონით ელიავას ბაზრობის პირდაპირ. ფასი 150 დოლარი. ტელ. 34-60-84

ქირავდება 1 ოთახიანი უტელეფონო, იზოლირებული ბინა ავეჯით. დეზერტირის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ფასი 100 ლარი. ტელ. 34-36-41

## ავტომანქანა

იყიდება ავტომანქანა BMW-323. საბაჟო გადახდილია. ჩამოყვანილია 1996 წლის დეკემბერში, 6 ცილინდრიანი, ორკარიანი. 1985 წლის გამოშვება. ძრავი ახალია. 41 ათასი კმ-ის გარბენით. ფასი 3.800 დოლარი. ტელ. 99-72-48

## სხვადასხვა

იყიდება ახალი მტვერსასრუტი. ფასი 150 ლარი. ტელ. 67-24-35

იყიდება პურის საცხობი 1 საკონდიტრო სამკარიანი ღუმელი, 1 საზელი, 2 ც. 50 კგ. დეჟით, 180 ც. აგურის ფორმა. ფასი შეთანხმებით ტელ. 93-21-75

იყიდება ცენტრიფუგა თავისი ძრავით. ფასი შეთანხმებით ტელ. 34-50-61 (4–დან 10 საათამდე).

ვყიდი გერმანული წარმოების ახალ ბორმანქანას, სრული კომპლექტით, აუცილებელია ტურბინა და მიკროძრავა ტელ. 23-11-81 მარიკა

იყიდება კარადა-მაცივარი ორკარებიანი, 220 ვოლტზე, მუშა მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი. იყიდება სასწორები, ერთკილოგრამიანი და 500 კილოგრამიანი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-64-75 დღისით; 66-44-76 საღამოს

იყიდება აკორდეონი „ველტ-მეისტერი" კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 14-17-15



20 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე მოულოდნელად აღესრულა
ᲘᲐᲡᲝᲜ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲘᲝᲠᲑᲝᲑᲘᲐᲜᲘ.
ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება მის გარდაცვალებას.

### ჩემო რომან!

12 აპრილი შენი დაბადების დღე იყო. 23–ე ბატალიონის მებრძოლებს მუდამ გვახსოვს ულალატო, უშიშარი თანამებრძოლი რომან კალანდია.

ბრძოლაში ყოველთვის პირველი შედიოდი და ბრძოლიდან ყოველთვის ბოლოს გამოდიოდი. ხიფათის მაძიებელი მაინც ხიფათმა დაგიტანა.

გვახსოვს გუმისთა, შრომა, იყო დიდი გამარჯვებაც და სამარცხვინო მარცხიც. ომში სიკვდილსაც გავუშინაურდით. ბევრი მეგობარიც დავკარგეთ, მაგრამ პირველი ცრემლი შენს თვალებზე მხოლოდ სოხუმის დაკარგვის დროს ვნახე. ვაგლახ, რომ საფლავში ჩაგყვა ეს მოუშუშებელი ტკივილი. მიიღე ჩემი ამქვეყნიდან იმქვეყნად სიყვარული და ფიცი, რომ ყველა შენი მეგობარი ჩვენს დარჩენილ სიცოცხლეს ღირსეულად განვლევთ.

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲕᲘᲑᲚᲘᲐᲜᲘ

## სხვადასხვა

ვყიდი IBM სისტემის კომპიუტერს კარგ მდგომარეობაში. დარეკეთ 93-15-89

ვთარგმნი ტექნიკურ ლიტერატურას ინგლისურიდან, რუსულიდან, ქართულიდან, დავბეჭდავ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 51-25-98

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია 30 ტომად რუსულ ენაზე. ფასი 100 ლარი. ტელ. 74-53-13

იყიდება ჩეხური წარმოების პიანინო „ვაინბახი"; იაპონური სადილის სერვიზი – 24 კაცზე „ჩინური ვარდი"; გერმანული სადილის სერვიზი „მადონა" 6 კაცზე. ტელ. 95-71-17 (15–დან 21 საათამდე).

იყიდება ჩეხური ელექტროგიტარა „ილოანა". ფასი 100 ლარი. ტელ. 72-40-57

იყიდება ავეჯის ვიტრინა. ფასი 100 ლარი. ტელ. 72-40-57

იყიდება კოსმეტიკური სანაყი ფილები. ფასი 20 ლარი. ტელ. 72-40-57

იყიდება გერმანული პიანინო „ალტონ კოპ". სპილოს ძვლის კლავიშებით, საშანდლეებით, ჩუქურთმებით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 400 დოლარი. ტელ. 96-00-38

იყიდება რუსეთის წარმოების პიანინო „სარატოვი". გერმანული სისტემით. კარგ მდგომარეობაში ფასი 250 დოლარი. ტელ. 96-00-38

იყიდება ნატურალური ტყავის ჩინური გარნიტური „ბოლერო" მოყავისფრო-მოშინდისფრო. ფასი 3500 ლარი ტელ. 36-32-46

იყიდება ცენტრიფუგა თავისი ძრავით 25 კგ–ის ტევადობით, ფასი შეთანხმებით დარეკეთ 34-50-61 დღის 16 სთ–ის შემდეგ

იყიდება „უაზ 469" მარკის მსუბუქი ავტომანქანა ახალი კაპიტალური რემონტით. საწყისი ფასი 3000 დოლარი ტელ. 93-48-49


### კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!



ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ «ᲛᲖᲘᲣᲠᲘ» ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ MS Office ᲞᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ

- ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲐ
- ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ World Wide Web
- ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲒᲘᲮᲡᲜᲘᲗ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ**: Ი.ᲯᲐᲕᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ I ᲩᲘᲮᲘ, №37 („ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ" ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲗᲐᲜ)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ᲤᲐᲥᲡᲘ: 29-49-61


# ჰოროსკოპი

## 22-25 აპრილი

ვერძი – თავი შეიკავეთ აგრესიისაგან, ჩაუფიქრდით თქვენს ცხოვრებას და მიხვდით, რომ თქვენი შეცდომების გამო იტანჯებით. კანონის დარღვევა კი... ფრთხილად იყავით, ეცდებიან უკანონო საქმეში ჩაგითრიონ. ნუ მოიტყუებთ თავს და ნურც სხვას მოატყუებთ. შედეგი შეიძლება გამოუსწორებელი იყოს.

კურო – ზედმეტი აღელვება ავადმყოფობას იწვევს; ჩხუბის მაგივრად მიხედეთ ჯანმრთელობას.

ტყუპები – ეგოცენტრულობა და ემოციების აყოლა კარგს არაფერს მოგიტანთ; მიხედეთ გულს; ეწვიეთ ექიმს. თუ ფული არა გაქვთ, გაიხსენეთ, იქნებ მეგობარმა ექიმმა მოგცეთ რჩევა, დაუჯერეთ მას.

კიბო – მოგზაურობის და დროსტარების შემდეგ უამრავი სამუშაო დაგროვდა. საჭიროა სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება. აბა, თქვენ იცით!

ლომი – თვითჩაღრმავება კარგია, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ.

ქალწული – სიტუაციის გამოცვლის შემდეგ მუშაობას შეუდექით. სულ მალე აუცილებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც სიყვარულს შეეხება. ან ახლა, ან ისევ დიდი ხნის ცდა მოგიწევთ, ვიდრე გულის რჩეულს ნახავთ.

სასწორი – ფილოსოფიური განწყობილება და თვითანალიზი კარგია, მაგრამ არავინ მოგატყუოთ, ჩამოდით მიწაზე.

ღრიანკალი – აუცილებელია თვითანალიზი და რამდენიმე დღე განმარტოვება, წინ არჩევანი გელით.

მშვილდოსანი – მედიტაციას გადაყევით და პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეხებამ აგრესიულობა გამოიწვია. დაწყნარდით და შორიდან შეხედეთ შექმნილ მდგომარეობას. კონფლიქტი გარდაუვალია, ვაჟკაცურად შეხვდით მას.

თხის რქა – გეყოფათ დროსტარება, წინ ორი დღის მძიმე შრომა გელით, რომელიც საქმიან და სასარგებლო შეხვედრას განაპირობებს.

მერწყული – ფიქრის და მედიტაციის დროა, მაგრამ მიწას ნუ მოწყდებით, წინ მძიმე დღეებია გადასატანი.

თევზები – მოგზაურობა სასარგებლო იქნება თქვენთვის; აუცილებლად მოგიხდებათ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც თქვენს ყოფას შეცვლის.

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ნ

ნაბელიშვილი – 25 (ახმეტა – 11; თელავი – 10; ახალციხე – 1);
ნაბიჭვრიშვილი – 38 (თბილისი – 16; გურჯაანი – 10; სიღნაღი – 4);
ნაბიჯაშვილი – 42 (თბილისი – 27; ბოლნისი – 5; დუშეთი – 1);
ნაბორაშვილი – 46 (თბილისი – 6; თელავი – 3; ზესტაფონი – 2);
ნადარია – 33 (თბილისი – 14; ზუგდიდი – 6; მარტვილი – 6);
ნადიბაძე – 28 (გორი – 11; მცხეთა – 9; თბილისი – 7);
ნადირიძე – 31 (ოზურგეთი – 30; რუსთავი – 1);
ნავგურაიძე – 30 (ახმეტა – 25; თელავი – 5);
ნაზრიშვილი – 32 (თბილისი – 1; თელავი – 1; რუსთავი – 1);
ნათარალაშვილი – 28 (დედოფლისწყარო – 20; ადიგენი – 2; თბილისი – 2);
ნათალიშვილი – 31 (თბილისი – 14; ბორჯომი – 2; თელავი – 15);
ნათბილაძე – 24 (თბილისი – 10; რუსთავი – 3; ვანი – 1);
ნათლიაშვილი – 20 (თბილისი – 19; თეთრიწყარო – 1);
ნათობაძე – 20 (თბილისი – 19; საგარეჯო – 1);
ნათობიშვილი – 35 (დუშეთი – 23; თბილისი – 10; დედოფლისწყარო – 1);
ნაკუდაიძე – 44 (ახმეტა – 32; თელავი – 8; თბილისი – 3);
ნაკულაშვილი – 21 (თბილისი – 3; საგარეჯო – 18);
ნალბანდიშვილი – 44 (თბილისი – 20; გორი – 19; ყვარელი – 6);
ნამთალაშვილი – 23 (ბათუმი – 17; გორი – 2; რუსთავი – 1);
ნანაშვილი – 22 (გურჯაანი – 2; თბილისი – 3; თელავი – 3);
ნაობიშვილი – 28 (თელავი – 23; თბილისი – 3; გურჯაანი – 1);
ნარგიზაშვილი – 36 (თბილისი – 17; გარდაბანი – 16; დმანისი – 1);
ნაროშვილი – 43 (წალენჯიხა – 13; ზუგდიდი – 9; თბილისი – 3);
ნარჩევანიძე – 42 (თეთრიწყარო – 14; თბილისი – 11; რუსთავი – 6);
ნასარია – 29 (თბილისი – 9; ფოთი – 7; ზუგდიდი – 4);
ნასიბაშვილი – 30 (მცხეთა – 10; თბილისი – 5; ლაგოდეხი – 3);
ნასიპაშვილი – 42 (ახმეტა – 37; თბილისი – 5);
ნატბელაძე – 20 (თბილისი – 13; ბორჯომი – 4; ზესტაფონი – 1);
ნატოშვილი – 26 (გურჯაანი – 24; სიღნაღი – 2);
ნაფოტაშვილი – 22 (გურჯაანი – 2; ყვარელი – 20);
ნაღებაშვილი – 48 (თბილისი – 29; გარდაბანი – 6; საგარეჯო – 13);
ნაყიშაშვილი – 28 (ქარელი – 28);
ნაჩხატაშვილი – 31 (თბილისი – 21; თეთრიწყარო – 2; საგარეჯო – 8);
ნაცარიშვილი – 37 (თბილისი – 10; ბათუმი – 5; ქობულეთი – 22);
ნაციშვილი – 20 (ახმეტა – 18; ზუგდიდი – 2);
ნაწილაშვილი – 32 (თბილისი – 13; გარდაბანი – 11; ყვარელი – 8);
ნებიერაძე – 25 (ქუთაისი – 13; ზესტაფონი – 6; თბილისი – 2);
ნეკაშვილი – 25 (თელავი – 11; ზუგდიდი – 6; მოსკოვის ლტოლვილი – 2);
ნეკერაული – 21 (ახმეტა – 14; თელავი – 7);
ნეკერიშვილი – 21 (თბილისი – 12; რუსთავი – 1; ხაშური – 8);
ნეკრესელაშვილი – 33 (დედოფლისწყარო – 8; თელავი – 2; რუსთავი – 1);
ნემსიაშვილი – 36 (თბილისი – 28; საგარეჯო – 8);
ნესოშვილი – 33 (თბილისი – 9; წყალტუბო – 5; ფოთი – 1);
ნეფარიშვილი – 31 (კასპი – 10; თბილისი – 5; ვანი – 2);
ნიადაგიშვილი – 29 (თბილისი – 15; გორი – 1; ქარელი – 13);
ნიბლოშვილი – 49 (თიანეთი – 20; თბილისი – 11; საგარეჯო – 9);
ნიკოლოშვილი – 41 (ახალგორი – 12; თბილისი – 9; რუსთავი – 5);
ნიკორიშვილი – 22 (გორი – 13; თბილისი – 6; კასპი – 2);
ნიშაბერაშვილი – 24 (თბილისი – 18; თიანეთი – 3; მცხეთა – 3);
ნოდარიძე – 44 (თბილისი – 23; სენაკი – 14; გორი – 6);
ნორაკია – 33 (წყალტუბო – 11; სენაკი – 9; ფოთი – 5);
ნუროშვილი – 43 (ყვარელი – 17; თბილისი – 10; რუსთავი – 4);
ნუსხელაძე – 43 (თბილისი – 38; კასპი – 5);
ნუქიფიშვილი – 20 (თბილისი – 3; ტყიბული – 2; ქუთაისი – 15).

● სამიჯნურო ბარათები

# მადამ დე სტალი — ბენჟამენ კონსტანს

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ფრანგ მწერალ ქალს მადამ დე სტალს (1766–1817), გახმაურებული რომანების: „დელფინასა" და „კორინას" ავტორს, მღელვარე სამიჯნურო თავგადასავლებით სავსე პირადი ცხოვრება ჰქონდა. ბარონ ნეკკერის ნებიერა ქალიშვილს, ანა ლუიზა ჟერმონა დე სტალს, წლების განმავლობაში ჰყავდა საყვარლად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ბენჟამენ კონსტანი, რომელიც მწერალზე ერთი წლით უმცროსი გახლდათ. ამავე დროს, ქალბატონ სტალს ახლო ინტიმური ურთიერთობა აკავშირებდა ცნობილ გერმანელ რომანტიკოს პოეტთან ავგუსტ შლეგელთანაც.

ბენჟამენ კონსტანმაც და ავგუსტ შლეგელმაც, საბოლოოდ, იმედები გაუცრუეს მადამ დე სტალს, რაზეც ქვემოთ მოყვანილი ბარათებიც მეტყველებს.

*ლონდონი, 1813 წ. ნოემბერი*

ეტყობა, ნამდვილად არ ძალმიძს თქვენი დავიწყება. მინდოდა და კიდევაც შემეძლო გულში ჩამემარხა ჩემი ვარამი, გართობით შემემსუბუქებინა იგი, მაგრამ როგორც კი საკუთარ თავთან მარტო ვრჩები, ისევ მომაკითხავს ხოლმე. ჩემს ბედნიერებას სამუდამოდ დაესვა წერტილი. აი, თქვენ რომ ერთგული მეგობრის თვისებებით გამოირჩეოდეთ, ჩემისთანა ბედნიერი კაციშვილი არ იქნებოდა! მაგრამ ვერ გავხდი ამის ღირსი და რა ვქნა!..

თქვენთან შეხვედრა კვლავ შთამბერავდა სულიერ სიმხნევეს და დამიბრუნებდა რწმენას, ყველაფერთან ერთად რომ ჩაქრა და მიინავლა. თქვენ თუ არ ჩამოხვალთ ლონდონში, მე თვითონ დავბრუნდები კონტინენტზე (იგულისხმება გერმანია. მთარგმ.). ვფიქრობ, ეს შესაძლებელია. ვინ იცის, რა მოელის ქვეყნიერებას!.. ხომ ხედავთ, თავისუფლებას ორივე მხრიდან ემუქრება საფრთხე, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ვინც ადამიანურობის არსის მიღმა დგას (იგულისხმება ნაპოლეონ ბონაპარტე. შემდგ.), იმან ველარ იბრძანებლოს!..

შლეგელის ხელით გამოგზავნილი თქვენი ბარათი გადავეცი მინისტრებს. ის ისევე ბრწყინვალედაა დაწერილი, როგორც თქვენი ხელიდან გამოსული ყველაფერი. მეეჭვება, ვინმეს გააჩნდეს თქვენი ბადალი სტილი, თქვენნაირი ჩამოქნილი, ნათელი ხელწერა. თქვენ უზენაესი დანიშნულებისათვის იქნებოდით ზედგამოჭრილი, საკუთარი თავის ერთგული რომ დარჩენილიყავით და... სხვებისაც! ხომ არ გადაგივლიათ თვალი ჩემი წიგნის წინასიტყვაობისათვის? იცით, რა გამოხმაურება მოჰყვა მას კონტინენტზე?

ისე, თქვენი წიგნის („დაპყრობისა და უზურპაციის არსისათვის". შემდგ.) აქ გაყიდვაზე თუ გიფიქრიათ, შემიძლია დაგეხმაროთ ამ საქმეში. ძალიან ყურადსაღები პოლიტიკური ვითარებაა. თქვენთან შეხვედრის შემდეგ საბერძნეთში ვაპირებ გამგზავრებას. ლექსი „რიჩარდი" ჩემს ანდერძად დამიტოვებია!.. ბენჟამენ, თქვენ მომისწრაფეთ მე სიცოცხლე!.. ათი წლის განმავლობაში ერთი დღეც არ ყოფილა, ჩემს გულს რომ თქვენზე არ ეოცნება!.. როგორ თავდავიწყებით მიყვარდით!.. მაგრამ შევეშვათ, – ყველაფრის გახსენება მეტისმეტია!.. ისე კი, თავის დღეში ვერ გაპატიებთ მაგ გულცივობას!.. მე ხომ ვიცი, მთელი ცხოვრება უნდა ვიტანჯო!..

ცხოვრების ქიმაზე შენობის აღმართვა – სიზიფეს შრომაა!.. მუდმივი და უცვლელი – მხოლოდ ტანჯვაა და წამება. მომწერეთ.

### მადამ დე სტალი – ავგუსტ შლეგელს

*ლონდონი, 9 ნოემბერი, 1913 წ.*

უკვე მეორე თვე მიიწურა და თქვენგან ერთი სტრიქონიც არ მიმიღია. რა საშინელებაა!.. თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი, რომ თქვენ, რომელმაც უწყით, როგორი გაუბედურებულიც ვარ, ასე შეგეძლოთ მოგეშხამათ ჩემი გული. აქ სუყველა ღებულობს წერილებს, მხოლოდ მე არ ვღებულობ. ყველაზე მოუცლელებიც კი პოულობენ ამისათვის დროს. მე კი ჩემი მეგობრისაგან, რომელიც ასე შორსაა, პაწაწკინტელა ბარათიც არ ვიცი!.. ვიმედოვნებდი, იგი ყოველთვის მადლიერი დამრჩებოდა იმის გამო, რომ მასთან განშორების შემდეგ საკუთარ თავზე წუთითაც არ მიზრუნია!.. ეს კიდევ არაფერი: ჩემს ვაჟს რომ ბარათი მოსწერეთ, იქიდან ირკვევა – თითი თითზე არ დაგიდიათ იმისათვის, რომ ჩვენ მემკვიდრე პრინცს თვალში მოვხვედროდით. არადა, თქვენ ხომ დამპირდით ამას!. სადაა თქვენთვის ეგზომ დამახასიათებელი მადლიერების გრძნობა? ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ თქვენი გულმავიწყობა გულს მიღრღნის? გამოჩნდება ფოსტა და უძილო ღამეც ზედა მაქვს!.. საშინლად დამცირებულად ვგრძნობ თავს, როდესაც მეუბნებიან: „ახლა, ალბათ, რა თქმა უნდა, ბატონი შლეგელისაგან ისმის რამე, არა?" დამთრგუნველ მარტოობაში ვცხოვრობ, რადგან ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი საგანძური დავკარგე, – რწმენა ჩვენი მეგობრობისა!.. ჩემი წერილებიც [illegible] რაცხყოფილად გრძნობენ თავს თქვენი [illegible] სხვა [illegible] გვაქვს [illegible] გან ჩემი ბიჭის დაღუპვის შემდეგ (მადამ დე სტალის ვაჟი, ალბერტი, 1813 წლის ზაფხულში დუელში მოჰკლეს. შემდგ.) თქვენს დუმილზე დიდი საწუხარი არაფერი გამაჩნია. ორივე უბედურება თითქმის ერთდროულად დამატყდა თავს და ჩემთვის ვფიქრობ: ალბათ, ის რომ ცოცხალი მყოლოდა, არც თქვენ დამივიწყებდით და არც – პრინცი. კონტინენტიდანაც არ შეწყდებოდა წერილები. როდესაც მიზანი, რომელსაც თავსაც კი შევწირავდი, მიღწეული იქნებოდა, მაშინ მეგობარიც მომილოცავდა ამას!.. აჰ, თქვენ რომ ისე გჭირდებოდეთ, როგორადაც მე მჭირდებით, დავიჯერო, მეც თქვენსავით მოგიცილებდით თავიდან?! სტოკჰოლმშიც ხომ შემეძლო მომეცილებინეთ? მთელი ჩემი ავლა-დიდება, – თუკი ასეთი რამ გამაჩნია, – თქვენიც არ იქნებოდა?

გამოვეცი ეს წიგნი („გერმანიის შესახებ", 1813 წ. ლონდონი. შლეგელი გამუდმებით დე სტალთან იყო, წიგნი როცა იწერებოდა. შემდგ.) და მისი ყოველი აბზაცი თქვენს თავს მახსენებს. სამ დღეში გასაღდა, მაგრამ მე რა!

ძალიანაც კარგი, ბოლო ხანებში ერთად ყოფნის დროს რომუდიერად მეპყრობოდი! სხვანაირად, ალბათ, ვერასდროს დაგშორდებოდით!.. რამდენი რამ დავკარგე თქვენით!.. თუ ბედმა გამიღიმა და ოდესმე კიდევ შევხვდით, ყველაფერს მოვიმოქმედებ, რომ შეგინარჩუნოთ!..

სადღეისოდ კი ერთთავად სევდამ შემიპყრო, მიუხედავად იმისა, რომ აქ კარგად მღებულობენ. ამ სევდის მიზეზი კი თქვენი დუმილია. ბ-ნი ფონ ვეტერშტედტიც არ ექცევა ასე უგულოდ თავის მეუღლეს და, განა მე, – თქვენ ვერ უარყოფთ ამას, – არა ვარ ის პიროვნება, რომელსაც თქვენ ყველაზე მეტად აინტერესებთ?! განა ჩემი სახლი თქვენი სახლიც არაა? ჩემი ოჯახის, ჩემი შვილებისთვის თქვენ რა, უცხო ხართ?! აჰ, როგორ მაწამებთ დუმილით!.. თუმცაღა, ყველაფერს გაპატიებთ, თუ დამიბრუნდებით.

როგორ ეთვისებით ამ ომს? პირადად მე აღშფოთებიდან სიფრთხილისაკენ ვიხრები. გთხოვთ, პირველსავე ფოსტას გამოატანოთ ორიოდე პწკარი. მერწმუნეთ, ჩემი დაღუპვით თქვენს ბედნიერებასაც უსვამთ ჯვარს!.. მშვიდობით. ჩემი ჯანმრთელობა ისევ სავალალოა. ადრე თუ გვიან, ვიცი, დაგენანებით.

# კაიფვორდი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 2. „ალიას" კავშირი; 5. „ბაჯბაჯა" შოკოლადი; 10. „ზონაში გაშვებული ცხოველი; 11. „ბედიანი" ცხენი; 12. პირი, რომელსაც მართალსაც არ უჯერებენ; 13. „ბერად შემდგარი" ლავრენტი; 14. ვულკანის „ფურთხი"; 16. მარტოხელა კამათელი; 18. „განაბული" ქურდი; 20. მიხოს სექსუალური სატრანსპორტო საშუალება; 22. „შარიანი" და კაპასი ქალი; 24. ფრინველი – „ნოლი"; 25. ჭიდაობაში გამოსადები „სარი"; 28. კაცი, „შენ რომ მოგელის"; 29. „მწიფე ხელებიანი" მეფე; 32. ციტრუსი, რომლის ნაყოფი კახელს კურკა ეგონა (ანეკდ.); 34. „სისხლით ნათესაური" კავშირი; 35. აღმოსავლური ნუგბარი, რომელიც „მიშას ქიშს უცხადებს"; 36. ხელის ღირებულება; 39. საახალწლო „ინდოელი" ფრინველი; 40. „ფორმაში მყოფი ვარდებიანი" თავდამსხმელი; 41. „ნალებიანი" დამნაშავე.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. „ვიტრინის ქალი"; 3. ბანის წინ მდგომი; 4. „ჩუმი" ნიავი; 6. „ლაყე" ცხენი; 7. „ალი", რომელიც კომუნისტებს მიენდო; 8. მაფიოზების „გაცინებული" კუნძული; 9. სახელმწიფო, სადაც „უროებიც ვაის იძახიან"; 15. გიჟივით თავისუფალი გლეხი; 16. ეგვიპტელთა „მისაზიდი" ქალღმერთი; 17. „შეშინებული" ნარკოტიკი; 19. ფულის შესანახი „ქილა"; 21. მკვლელი „ლერი"; 23. ფრანგულს მიმსგავსებული „მოსკვიჩელი ბენო"; 26. საცეცებიანი ორგანიზაცია; 27. „ნახშირივით დამწვრის" პროფესია; 30. სათადარიგო „ქაფიანი" ცხენი; 31. თურაშაულის პატრონის ტყეში საძებარი ხილი; 39. „ახირებული" საქონლის ჯგუფი; 37. „მეგრელების ნათესავი" ავტობუსი; 38. „გამოშტერებული" მწვანილი.

### ᲬᲘᲜᲐ ᲙᲐᲘᲤᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲛᲬᲝᲚᲘᲐᲠᲔᲓ: 3. ავტოპორტრეტი; 8. გარმონი; 11. ენა; 12. ჯორი; 13. ლეონიძე; 16. არარატი; 17. ელა; 18. ურო; 22. ირემი; 23. ბანდა; 26. ჯამაგირი; 29. დონორი; 30. ვარდი; 31. ნატა; 32. ბუხარი.

ᲛᲓᲒᲝᲛᲘᲐᲠᲔᲓ: 1. სამოთხე; 2. დო; 4. ვანგა; 5. პო; 6. ტარიელი; 7. ტო; 9. ნოე; 10. ჯოჯოხეთი; 12. ჯეირანი; 14. მარტი; 15. სურდო; 19. ვიოლინო; 20. შინაური; 21. გულადი; 24. ალიონი; 25. გიგო; 27. არია; 28. ატა.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444